

ԾԱՎՈՐԵԼՈՒ ԽՍՏԵՐԸ

ՅՅՈՒՆԻ ՃՎՃԵՐ



ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଦୟାତ୍ମକ

ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଲେଖନ

ଜୁଲାଇ, 2016

ვცადე, ნოტებით ამეგო სახლი.

არ ვიცი, რამდენად გამომივიდა.

ყოველ ლექსში დევს სული ჩემი.

ვინ იცის, რამდენი ათასი სული დამივროვდება იქ გამგ ზავრებამდე...

მეც გადავლახე საკუთარი რუბიკონი,

უკან დასახევი გზა აღარ მაქვს;

ჩემი ცხოვრება დაუსრულებლად დავუკავშირე ტაეპებს.

ყოველი ტაეპი ბილიკია,

ყველას სხვადასხვა სამყაროში მივყავარ.

მომავალ შეხვედრამდე: ჩვენ კიდევ არაერთხელ შევხვდებით.

ავტორისგან

ნიგნს ვუძლვნი მეუღლეს, სალომე ასათიანს, დიდი სიყვარულით.

რედაქტორი

და კორექტორი: ზვიად მეფარე

ოპერატორები: ეთერ ქემხაძე, ნინო ბუცხრიკიძე

ფოტოგრაფი: ნათია მახათაძე

სადლეგრძელო

21.06.2015.

იმათი შევსვათ, ყოველ ნაბიჯზე
ვისაც ნამდვილად ქვია ქართველი,
ვინც ცდილობს არა სხვათა მეფობას,
არამედ, იყოს თავის მმართველი,

ვინც ქრისტეს მოსვლას ყველგან და მუდამ,
წყალშიც და ცეცხლის ალშიც ელოდა,
ვინც არის მსმელი დაუძინებელ
მტერთა მოქცევის სადლეგრძელოთა,

ვინც კაცი იყო და კაცად დარჩა,
ვისი ამაგიც მუდამ ვიცოდით,
ვისაც ბრმად ჯერა სიყვარულის და
ბრმად ჯერა სულის მარადისობის,

ვისაც ვერ ცვლიან ვერც კარიერა
და ვერც მევერცხლე ხორცის ბრძანება,
ვისაც ოჯახში და სამოთხეში
შესვლა არასდროს აეკრძალება,

ვის გვერდით ყოფნა და მეგობრობა
ყოველთვის სუფთა გულით გვწადია,
ცოტათი მაინც ვინც გავს ექვთიმეს,
მღვდელ თევდორეს და ცოტნე დადიანს,

ვისაც უბრნყინავს თვალები, როცა
ყველგან მშვიდობის მოდის მეფობა,
ვისაც მოყვასის გულში სიკვდილის
აღზევებისას გული ეპობა,

ვინც ბრმად შეწირავს სიცოცხლეს, რათა
სხვისი გადარჩეს... იარონ სხვებმა!
ვისაც ლოცვებით, სიტყვით და საქმით
ყოველთვის უწევს ეშმაკთან შებმა,

ანი და ჰეო ვისაც უჭირავს
ლაპარაკისას ოქროს თასებით,
ვინც შეძლო ზეცის მწვერვალზე ასვლა
მეობით ღმერთთან გაბაასებით!

3

ლექსგაგლეჯილი

27.09.2015.

არ დაგვენანოთ დაცინვის წვეთი,
ლიმილი მუდამ მსურდა, მეთესა,
ვარ მათხოვარზე არაფრით მეტი,
არ ჩამოვრჩები მაგრამ მეფესაც.

ვარ ანგელოზი (უკვე ყოფილი...)
ქარმა დახია ჩემი აფრები!
ვარ დაცემული, ავადმყოფივით
და ცაში არწივს ვეთანაბრები.

არ არის მეფე მეტი გლახაზე!
ცამდე ხანდახან გვასწრებს პარაპა,
ლოყაზე მთვარე შემოვახაზე
ჩემს თავს, რომელიც მიწვევს თანაბარ

4

ბრძოლაში ღმერთთან. მინდა ბორკილი!...
არ დამანახოთ ყოფის ჯეჯილი,
ვარ ყორნისფერი, ახლა მორგივით
და დაბლა ვგდივარ ლექსგაგლეჯილ.

ცრუა ყოველი!

11.08.2015.

გამინაპირეთ! არ მინდა ყოფნა
აყეფებული ხალხის ბადეში,
არ მჯერა შუქის, ჩემთან სულ ბნელა,
ტყვე ვარ უძირო სიწყვდიადესი!

ბასრი ნისკარტით ნერვებდაკორტნილ
ლაბირინთების ვხედავ ინდივიდს,
მე მეხილება მუქი თვალები
და შუქს დავეძებ ლაბირინთივით.

მენგრევა სუფრა! არ ვცნობ მიწაზე
ადამიანში ღმერთის ეტალონს,
ყურებში ჩარბის ხერხის ღრიჭინი,
ლამის გალობაც გაამეტალოს!

მუდმივად ვეძებ ქარიშხლის ხვრინვას,
სხვა ვერაფერი ვეღარ ვუპოვეთ
მე და აჩრდილმა ჩემს ცხედარს, მზადმყოფს
დაბლა სათრევად და საკუბოვედ...

ცრუა ყოველი... ვნატრობ სიბრმავეს,
არარსებობას ჩემი სინათლის,
ნეტავ, მანახა, ვინ აქუცმაცებს
ჩემს იმედებს და ხორცებს ვინ ათლის...

მომეცით მთვარე, ის გულწრფელია!
არ მსურს არცერთი მიწის ტიტული,
ალარ მალელვებს ტბის სიკამარე,
არც ცრემლის კიბე ცადაზიდული!

ავადმყოფივით ვკანკალებ ახლა:
„რა არის ჩემი ბოლო, მითხარით?!”
ვიცი, არ მისმენთ: მე ვარ სიკვდილის
მხედარი, ავი და საზიზღარი!

5

ეპისტოლე

17.11.2014.

მე ვარ აჩრდილი, ჩუმი, უსახო.
მე მოგიგონე, დუმილო ჩემო.
მინდა, საკუთარ თავს შევუძხო,
რომ არ გავიგო სიკვდილის გემო.

ვარ მუდმივობის მკაცრი დარაჯი,
მარადიული დავალ იარით
და ჩემს სხეულში, კაფანდარაში
მზეა, წყვდიადის თანაზიარი.

გავარდეს ჩემში დე, პისტოლეტი,
ცხოვრების მაინც მძულან ტახტები
და პოეზის ეპისტოლეთი
მე უხილავის მომსწრე გავხდები.

მისი სიმაღლე

18.07.2015.

ვერავინ იგებს მონის მონაწერს,
ვერავინ ირგებს მონის მონატანს.
თურმე, აბსურდულ წერილს მონა წერს,
სადაც წერია, მონის მონა ტანს

როგორ დაიბანს... ველოდით ამბავს,
რომელიც შვებას მოგვცემდა, მაგრამ
ახლა სტიქიას კანონი სტამბავს
და პირზე ძველი ლიმილიც გაქრა.

აღარ დავეცეთ დაბლა, ეგება,
იერარქია ჩვენში ვეძიოთ,
ვიდრე ნეკნებში დაირეკება
კენტი კივილი უპოეზიოდ.

6

კივილო, რაშიც ბოლომდე შერბი,
მისი სიმაღლე დაგვიცავს მხოლოდ
და ერთმანეთი კი არა, გერბი
სიძულვილისა, ვჩეხოთ და ვქოლოთ!...

ქალაქის ყევა

29.04.2014.

მანქანის ბორბლებს მივყავართ იქით,
სადაც რკინების გაისმის ყეფა
და რობოტების დამდგარა რიგი
ქალაქის ყეფა სადაც იწყება.

მიმაცილებდა წვიმის გუგუნი,
ქვეყნის ხმაური გულზე მებნია
და ქალაქების უხმო უკუნი
გზას მთავაზობდა გრძელდერეფნიანს.

დაუსრულებლად მდევდნენ ბინდები,
თოვლად ედება თეთრი შური თმას,
მდუმარედ ვდგავარ და ვიუღინთები
ცრემლით, ქარიშხალს რომ გაურითმავს.

ლამის დუმილში

28.11.2014.

ლამის დუმილში შორიდან მოდის
ძალების ყეფა, შრიალი ფოთლის.
ვიცი, მოვკვდები მე სად და როდის
და ჩემს სიცოცხლეს ვერავინ მოთვლის.

დავდუმდე? კარგი... დამცინეთ, რადგან
თქვენი სიცილი ტირილს ჯობია,
მე კი ზეცისკენ გავუშვებ ბატკანს
და დამიჩოქებს ძველი ფობია.

მე ვდუმვარ, რადგან, ლაპარაკს, ვიცი,
ვიდრე მე წავალ, ჯობია ასე...
ჩემი მადლობა დე, იყოს მისი,
ვინც გახსენების დამხატავს ქვაზე.

7

თდემი ქვეყნად

23.09.2012.

(სალომეს)

ვიცი: თუ არის ქვეყნად ედემი,
იგი შენშია, როგორც იმედი,
თითქმის დავტოვე მე იმედები,
მაგრამ უეცრად ღმერთან მივედი.

გამომაგზავნა მაგრამ მან შენთან,
მე დავივიწყე ძველი სახელი,
ეს ჩემი რწმენაც შენით დამშვენდა,
სიზმრად გიხილე და გეახელი.

ალბათ, ყოფილა ამქვეყნად ბალი,
ყოფილა ბალში ჩვენი ტანდემი,
ბალში ცხოვრების სურვილი ლალი
და უბალობა თავზარდამცემი.

მე კი გნატრობდი... ეს იყო ძველად,
დღეს დევნილ სიკვდილს ფიქრიც არ იჭერს,
ნარბშეურელი ვუდგები მცველად
შენი სიმშვიდის ურყევ კარიბჭეს.

მცველობალები (სალომეს)

09.11.2011.

მე ვარ არავინ. ვარ ფეხის მტვერი
დიადი ღმერთის და მისი ძესი,
მე საკუთარი გლოვით დავთვერი,
ველარ ვიწეს ადამის წესი.

მზეა. გაშლილი შენი თმებია
მისი სხივები, მისი ალები,
ჩემი ფიქრები შენში თბებიან,
ვწუხვარ, განგიცდი და ვენვალები.

ვწერ, მაგრამ არ ვარ ქვეყნად მე უკვე,
შენ კი მკითხულობ ბრმად და ელვარებ
და ჩვენ გვინდა, რომ ერთად შევუყვეთ
ღმერთამდე აწვდილ მაღალ მწვერვალებს.

8

მარადი შუჟი (სალომეს)

29.06.2014.

ჩაფიქრებული ხმელი ფოთლების
უკიდეგანო დავძრნი შარაზე,
მოვალ შენამდე, რადგან უჩემო
ბედნიერების კარი ჩარაზე,

სველი მიწა შენი აკვანი,
ლურჯი ცა არის შენი თავშალი,
დაბლა, ფეხებთან შავი ღრუბლები
დაგიყარე და მყისვე დავშალე.

ცხოვრების ბრძოლა რაა ისეთი?
შენთვის ყველაფერს უხმოდ ავიტან,
შემდეგ მოვკედები, რომ კვლავ გავცოცხლდე,
რომ დავიბადო შენთვის თავიდან

და მხოლოდ გულში კი არა, როცა
შენს მარადიულ შუქშიც შემიტან,
მოგონებებიც გაიბრნებინებენ
მარგალიტების დიადემიდან.

როცა გიყურებ სხვაგან და შორსმყოფს
და მუდამ გხედავს შენი პოეტი,
შენი სხივებით გაკაშკაშდება
მაშინ სამხრეთი და ჩრდილოეთი

და ძველებურად თვალებით გავცვლით
ზურმუხტის ფრთებით ნაწერ ბარათებს...
შენ ხარ წყვდიადში მარადი შუქი
და შენს გარშემო ღამეც ანათებს.

9 ორი სამყაროს ტანდემი 10.06.2014.

თეთრი შურით მშურს სიმშვიდის შუქის,
თეთრი ჭინკები სადაც დახტიან,
მოდის სალამო, მჟავე და მუქი
და ჩემს წინ ისევ ორი ტახტია...

სად ყორანი და სად იადონი?
თუნდაც სხვადასხვა, ჩიტი ჩიტია...
ცვივა ცრემლები სადიადონი:
სადღაც იესოს ისევ ყიდიან.

თეთრ სურვილს შავი სურვილიც თან სდევს,
ისევ ხარხარებს სატან-დემონი,
უცხო ედემში შეადგენს ტანდემს
ორი გვირგვინი სატანდემონი.

კვლავ დავეცემი ცრემლით დაბანილ
უფალის ფეხქვეშ (როგორც, ყოველი)
მუდამ მიფარავს სევდის საბანი
და მუდამ ფარულ შველას მოველი.

მე ისე მიყვარს დუმილში ფიქრი...
როცა ვუცრუებ იმედს მოდავეს,
მაშინ უსაზღვრო სივრცეში მივქრი
და სურვილებიც ალარ სცოდავენ.

მე ისე მიყვარს დუმილი მაშინ,
როცა გრძელ კამათს ჩემგან ელიან,
მთელი სიცოცხლის წაკითხვა ყრმაში,
ჩვილის გაგება როცა ძნელია.

მე ისე მიყვარს სიჩუმის სივრცე,
ასე მგონია, სიკვდილის მერე
მთელ სასაუბროს იმ ფურცლებს მივცემ,
სადაც პოეტის ნაფიქრალს წერენ.

10

ცხოვრება და ზღვა

09.01.2008.

ვიყავი ზღვაზე. ჩემი ხომალდი
მე გალაქტიკის სუნთქვას მიბრუნებს.
წამო გოლფსტრიმო ჩქარა, მომალდი,
ჩვენ ქვეყნებს ვნახავთ ასე მდიდრულებს!

დღეს უდროობა ჩემი ცხენია,
ხარხარი აღწევს ჩემში ქარების,
მზის ყოფნას თავი შეურცხვენია,
რომ მალე დადგეს დღე მდუმარების.

როგორ მინდოდა, მენახა მაშინ
ცეკვა ტალღების! როგორ მეჯერა
ალბატროსების ციური მარშის!
მსურდა, მენახა ზღვაზე ჰეტერა,

ან ფრეგატების ხილვა ვეება
პანიად რომ ჩანს, როგორც ნავები,
ხელში მჭეროდა სადავეებად
ლურჯი ტალღების განაწნავება!

მაგრამ ეს ზღვაა, ზღამ კი არ იცის,
სად ყვავია და სად – იადონი,
მასში არ მოჩანს სარკე მტკნარი ცის,
არც მზის სხივები სადიადონი!

ლელდება უცებ ზღვა მწუხარე და
მისი ხმა მესმის შიშის ნოტებად,
სიკვდილი ჩანდა შავი მხარედან
და ქროდა მისი გაბოროტება.

ცხოვრება ზღვაა, ხან მშვიდი, ხან კი
ურჩი, ბოროტი, ჩვენით ერთობა!...
მაშინ სიცოცხლის არ ისმის ჰანგი
და წყვდიადთან გვაქვს ურთიერთობა.

ზღვა მძირავს, მე კი მისი მსურს შესმა,
დროს ჩემი შეჭმა უნდა, მე – მისი
და რა ამაოდ ქირქილებს ეშმა:
მაინც იბრწყინებს ჩემი მერმისი!

11

ლამის უდაბნო

09.08.2014.

ხანდახან მინდა სიგიჟე სრული,
რადგან მოსაწყენ ჭაობებს ვზიდავ,
მსურს, ამოვავსო ავი უფსკრული
და გადავიდე შავ-თეთრი გზიდან.

როგორ მომბეზრდა რუტინა დღისა,
უდაბნო ღამის, სევდის ფესვები!
რადგან სიმშვიდე სულს არ ეღირსა,
რადგან სიკვდილის ზღვაში ვეშვები...

ამის ნაცვლად კი, ჩემში საუბრობს
მარადიული ზამთრის აკვანი
და ჩემი ქვეყნის ტახტზე (საუფლო!)
თვითონ სატანას ვხედავ აყვანილს!

მხატვარი

14.03.2014.

(სალომეს)

მინდა ფიქრების ფუნჯთან თამაში,
მე ვარ მხატვარი, დაგხატო უნდა.
ძვირფასო, ჩაგსვამ ფერთა ვამაში
და იგოგმანე, ზეცამდე თუნდაც.

შევქმნი შენზე ყველა ნახატი,
რომ მათ წინაშე ვენთო კელაპტრად,
შენზე უკეთესს ვიღას ვნახავდი,
ან მეტი ვიღა უნდა მენატრა.

ნავალ, დავტოვებ ბარათს თაროზე,
მოვალ, დამხვდება სველი ბარათი,
მერე შენს გულზე ვიავგაროზებ,
რომ ღრმად ვისუნთქმა გრძნობა მარადი.

12

ფუნჯთან თამაშში მოლბერტად მსურდი,
მთელ ჩემს ძალ-ღონეს ფურცელზე ვწერდი...
ვარ შენი გულის უბადლო ქურდი
და დარდიანი მხატვარი ერთი.

მე ლამეს ველი

30.05.2007.

მე ლამეს ველი, როგორც ჩემს ჯალათს
და მე, ცოდვილი, ღმერთში ვეჭვდები,
რადგან ყოველდღამ ვიღებ სველ ბარათს,
ნაწვალებს შენი ანაბეჭდებით.

ქრის შუალამე – ჩემი ჯალათი,
თავს არ შემარჩენს, ასე მგონია...
მას ძალუძს, ჩემი თავის ქალათი
დალენოს მთელი კოსმოგონია.

უპორიზონტო სივრცე 27.08.2013.

სულს აღტაცებულს და განაოცებს
ცაში დაკიდულ საქანაოზე
ბავშვური ფრენა ელის!

ზღვაზე წავედით, როგორც ინათა,
დაგვხვდენენ ტალღები პანანინა და
დილის სხივების რთველი.

ნატვრის ახდენას ზღვაზე თუ ელი,
თუ გაუმართა სევდას დუელი
უპორიზონტო სივრცემ,

მხოლოდ ეს მინდა და ეს მარიგებს
და ამ წუთისთვის არსთა გამრიგეს
მთელ ჩემს სიცოცხლეს მივცემ!

13

საცდელი ვაჭლი 23.08.2013.

მებალეობა დაგვრთეს დროებით,
გამოსაცდელად მოგვეცა ვაშლი,
გზად მოვინდომეთ პალმის რტოები,
ვკოტრიალობდით მინდორზე გაშლილ.

ყურში მაცდურად გველი წიოდა
(მიამიტობამ იგველა ქალის)
მინდა, იმ ბალში შევაღწიო და
წიხლებით გველი დავლენო მყრალი.

ძრავა დაქოქე სამოთხის მძღოლო,
თეთრად შევლებო სიბნელე უნდა,
დაუნდობ სიკვდილს მოვკლავდი მხოლოდ,
ჯოჯოხეთი რომ მელეჭა თუნდაც!

ცხოვრებას შავად სიავე ნიღბავს
 და წამნამებზე ცრემლი ღვარლვარებს,
 ფლიდს და შერცხვენილს გავურბი იღბალს,
 უბედურებას ვეხიზნები, ცხელს და საყვარელს.

დახევა მინდა ტანზე შავების,
 წყვდიადი მითრევს ღრუბლის შიგნიდან,
 ხეთა ხორუმში ადრე ჩავები,
 აღრენილ ღაწვებს ვიდრე წვიმა დამიძიძნიდა.

ქვეყნის სიყალბე მანგრევს, მაზიდებს,
 დაკრეჭილ კბილებს ვუმზერ მშიერთა,
 მე ვეღარ ვუძლებ მყრალ პარაზიტებს,
 დღეს უნდობლობა ჩემი ყოფის ზღვამ შეიერთა.

14**ტირიფი**

13.08.2015.

მტირალ ქალს გავხარ მდინარესთან თითქოს, ტირიფო,
 ლამის, მინამდე დაგიშვია წვინიანი თმები,
 გინდა, სამყაროს სწორი აღქმა გააირიბო
 და ჭაობების სივრცეში თბები.

შენმა ფესვებმა ნესტიანი სიბნელე იგრძნეს,
 მაგრამ გარდაქმნა სიწყვდიადე სინათლის შუქმა,
 ტირი და ამით სხვების ნაცვლად აცოცხლებ სიბრძნეს,
 რომ შენც არ გახდე სიცივის ლუკმა.

მწვანე შოლტების ვარცხნილობას იხდენ და ჩივი,
 რომ წყალში, შენთან, არასოდეს არავინ მოდის...
 მაგრამ ზამთარი, როცა შენში შემოდის, ცივი
 და მოდის თეთრი კივილი ჭოტის,

უღმერთო ყინვას იგერიებ, ერთგულად დგახარ
 სადარაჯოზე ფოსფორული კიაფის და შენ...
 იცოცხლე, მერე კვლავ იცოცხლე! იტირო ალარ,
 ალარ დაღვარო ცრემლები მლაშე.

დადუმდით ტეთით!

14.05.2015.

დადუმდით წუთით! ააყვავეთ დუმილის წუთი,
ააგნიასეთ სიმშვიდის მუშტი,
ვეღარაფერი მიტკბობს სმენას, ხმაურით, ცრუთი,
მუდამ ველოდი დასასრულს კუშტი

და ღრმა ღიმილით მშვიდ სახეზე... ფსალმუნებს ვწერდი,
სული წვალობდა კაცის, რომელიც
იყო კრუნჩხვებში: მან ბოლომდე უარყო ღმერთი...
ვწუხვარ: წვალების ხილვა მომელის.

სტუმართა რიგი

28.12.2014.

არ მსურს, მშვიდობა მუხებს რკოდ ესხას,
რომ ტლუ ღორებმა არ თქვლითონ იგი.
ის ღმერთან ერთად გაჩნდა ოდესლაც,
რომ სამოთხესთან დააყენოს სტუმართა რიგი.

15

იქნებ, იღბალთა დამგლეჯ ნადირებს
სწორედ იმიტომ გზავნის უფალი,
იქნებ, კუთვნილი ბედი გვატირებს,
რომ ლუციფერი დავამარცხოთ ნატრიუმფალი?!

უდაბურ ტყეში

02.05.2014.

უდაბურ ტყეში მოჩანს სახლი. იგი მაგონებს
ყრუ ჯოჯოხეთის ერთ-ერთ ფილიალს.
ირგვლივ ყოველი შიშის სუნით იწვის! დრაკონებს
ხოხვით მუხლებიც დაყვლეფილი აქვთ.

დაე, ქაჯები გამოენთონ ორსქესა მოდგმას
კუპრის ტბებამდე და დიონ ისე,
ჭირის წისქვილით ტალახივით გაფრქვეულ მოთქმას
მშვიდად ისმენდეს ყრმა დიონისე.

მარადისობა

09.01.2013.

(სალომეს)

შენ სალომე ხარ. ლურჯ მწვერვალზე იდექი მაშინ,
რომ გაგიცანი ნოემბრის თვეში.

ხან სიმღერა ხარ, ჩემი ლექსი გძერნავს რითმაში,
ხან ყვავილების გასკდება თქეში.

მზე ალბათ, მხოლოდ სიყვარულის სხივებს ისროდა,
როცა მოხვედი ამქვეყნად ციდან,
მხოლოდ სივრცე თუ გაუძლებს და მარადისობა,
შენს გამოხედვას რასაც მე ვიტან.

უშენოდ, ალბათ, მე სიკვდილი უნდა მენატრა,
ვნატრობდი კიდეც, მაგრამ განაჩენს
უფალი გვანვდის და სიკეთე უდგას კელაპტრად
და სიყვარული თუ გადამარჩენს!

16

ცყვდიადებიდან

25.07.2014.

როდის გაქრები თვალებიდან რკინის გისოსო?
დიდძალ იარაღს ვხედავ ირგვლივ და პატარა ველს,
უვიცთა მიმართ უკვე ვეღარ ვსატირიკოსობ,
რადგან უფალი მაპატარავებს.

მე ვხედავ, ფრთები გარიყულმა გაშალა ბარტყმა
და ჩრდილოვანი მასებიდან მოდის არწივი,
წყვდიადებიდან აღარ აღწევს არც სხივი, არც ხმა
და გვმოძლვრავს ვერცხლი პატრიარქივით.

მტვერიდან აღმდგარს დამეწყება ახლა კანკალი!
ვხვდები, რომ ბოლო იმედია; წამოვდგე უნდა...
და ისევ, წყალში, კუს ბაკანზე კბენს ღრიანკალი
და მელანდება სამყარო უნდო.

ლეთას შიში

15.06.2009.

სულს, დავიწყებულს, დღესაც ახსოვს ძველი ბაზრობა,
იმართებოდა რომელიც ლიქნით,
ყალბი სიტყვების რახარუხი და უაზრობა,
გაზრდილი ვერცხლის ლაპლაპა ჯიქნით.

აინტერესებს, დავიწყება თუ რა კაცია,
ლეთას ტალღებმა რომ მიუსაჯონ
გადავიწყება, თვითგარიყვა, ან კასტრაცია
და ჯოჯოხეთში გემი უსაჭო.

ვარ მორფეუსის სამყაროში

16.04.2009.

ვარ მორფეუსის სამყაროში. აუყვა მშვილდი
ჩემს გულში კიბეს, ცისკენ, მაღლა... ახლა ის მეტყვის:
„შენი სიცოცხლის თეთრ ოცნებებს აუყვავილდი
და ტყვე არ გახდე წვიმის და სეტყვის“.

17

ერთმანეთს ვნატრობთ მე და ბალი! ახლავს მაგია
ამღვრეულ ჩანჩქერს – ჩემს ცხოვრებას! ქარიც იქ არი!
რომელ ამაგსაც ჩემს ხსოვნაში უამაგია,
ღმერთმა დალოცოს მისი სტიქარი!

საით მივდივარ? მე ტყვედ ვყავარ აფთართა ხროვებს
და მიათრევენ უბოლოოდ სხეულს რონინით,
ეს მე ვარ? never! მე ვიცოცხლებ და სიუცხოვეს
შევენირები ბაირონივით.

მაგრამ არასდროს ვუშინდები დაღუპვას... ღამე
შემოდის ჩემში და უჯიშო წყვდიადი მიტევს,
თუმცა, ცხოვრების განთიადი მე უკვე ვშეამე
და აღარ ველი ჩემს მკერდზე თითებს.

2. ზ. მეფარე

მზეო ბებერო, უუფსკრულო მზეო ბებერო,
ძველქართულსიბრძნეშეთქვეფილი გვიყურებ ციდან,
ჩემში შემოდი, თუნდაც დამწვა, უნდა გეფერო,
რომ კაცთა ამდენ სიბილნეს იტან.

მზეო ბებერო, მწველო მზეო, როდის აიტან
ადამიანთა ნაწამებ სულს მეცხრე ცის მაღლა?
სინათლე ღმერთმა დაგაკისრა შენ ვინაიდან,
წყვდიადის გულშიც დაგეძებ ახლა.

მზეო ბებერო, უდიდესი მისია გადევს
ვარვარა ზურგზე და არიგებ გარშემო სითბოს,
კაცთა სიკვდილის და სიცოცხლის შენ ადგენ ვადებს
და ხარ ხან ყველგან, ხან არსად, თითქოს.

სსოვნა

15.03.2010.

სასაფლაოზე ხსოვნა სუფევს წარსულის სადაც
და სადაც წყვდიადს შეულებავს ხალასი დილა,
სიკვდილზე ფიქრი სადაც კარგავს სიცოცხლის მადას,
სადაც სიცილიც მოჩანს ტირილად,

გავიპარები, როგორც მგზავრი იმ ბნელი ღამის,
რომელიც იწვის ჩემს სხეულში და სუნთქვის არსს კლავს,
ვიხეტიალებ, რომ მივაგნო ჩემი ბალლამის
არარსებობის ერთადერთ ვარსკვლავს,

მივაგნებ საფლავს, ქალის სახე სადაც ხატია
და ის სურათი გადამიხსნის წარსულ იარებს...
მე, დაჩოქილი, ლოცვას მივცემ ჩემს გულს, დარდიანს,
უშენოს, დაცლილს და მგლოვიარეს.

რდვევა

22.12.2013.

ჩემთან მოვიდა ეშმაკი და ბაასს ეცადა,
მე კი დუმილის აღთქმა მაქვს წელან
დადებული და მსურდა, დანა ამელესა და
აღთქმა ცოცხალი გამეშვა ვეღარ.

ისე მინდოდა საუბარი! იგი შოლტივით
გრძელ კუდს მირტყამდა და მეც გავრისკე
და ვერ დავზოვე უპასუხოდ იგი მოტივით
—ლოცვა გამეშვა თანამგზავრისკენ.

ვიდრე

31.08.2008.

მახსოვს გალობა. ის ხმა ზიზღმა დამარხა მაშინ.
მისი ნერვები არასოდეს არ გავდნენ ლითონს. 19
ვახსოვდით ქეიფს cafe del mar-ში
და თვითმკვლელობით გვაშინებდა სიკვდილი თვითონ.

იმუქრებოდეს დაე იგი თავის გარდაცვლით,
ჩვენ კი ვიცხოვროთ; მე აქ, შენც აქ, ისინი – იქით,
ვიდრე ბოლომდე ჩვენს თასს არ დავცლით,
არ ავალელვებ ვიდრე დუმილს შიშის მუსიკით.

სარპეზე

15.08.2015.

ვხედავ ყველაფერს, გარდა ჩემი თავისა. ბრმა ვარ.
ძალიან ხშირად ამ ცხოვრების მერევა მუშტი.
ვახტები მხოლოდ დაბალ ღობეს და მინდა, მთავარ
გალავანზე რომ ილაშქრებდეს გონება კუშტი.

კვლავ გაივლიან ბნელ დერეფნებს ტანში ეკლები,
სადღაც, ტრანსში მყოფს დამათრევენ დევის კლანჭები...
ვდგები სარკეზე, თვალებს ვახელ და ვირეკლები,
ვუყურებ ჩემს თავს თავდახრილი და ვიტანჯები.

მარტოობის სიღრმე

18.09.2015.

ეკლების ხროვას მარტოობის სიღრმე მასევდა,
უფსკრულს ზევიდან ვუყურებდი. დავდევდი აფთრებს.
შიგნიდან მჭამდა უმუსიკო ყოფის ღრმა სევდა.

ეკლების ხროვას მარტოობის სიღრმე მასევდა,
ვარ მერიქიფე, ვდგავარ დევის ვერცხლის თასებთან,
მწირის სხეულში ასკეტური გონება მათრევს.

ეკლების ხროვას მარტოობის სიღრმე მასევდა,
უფსკრულს ზევიდან ვუყურებდი, დავდევდი აფთრებს.

დემონი ფიქრის რევოლვერში ტყვიებს მილაგებს,
ბრმა ვარ, ქვა-ლორლზე ხოხვისაგან მტკივა მუხლები,
გულგრილად ვლეჭავ არაკაცთა წყეულ ჯილაგებს.

20

დემონი ფიქრის რევოლვერში ტყვიებს მილაგებს,
სიკვდილის მოკვლის დასტურისას ვაჭერ ლილაკებს,
სისხლის გაყინვის მოლოდინში კლდეს ვეუღლები.

დემონი ფიქრის რევოლვერში ტყვიებს მილაგებს,
ბრმა ვარ, ქვა-ლორლზე ხოხვისაგან მტკივა მუხლები.

18.09.2015.

როცა გვესმის, რომ გამოკვება ძალლმა პატარა,
რომელიც დედას მიუგდია, გალეშილს არყით,
ჩვენ ვიზაფრებით, რომ დედობა თრობამ დაფარა,
ვამბობთ, დედობა იქნებ, ყველა ქალისთვის არ ღირს...

ვივიწყებთ, როგორ გაიარა ქალმა წარსული,
ვაკნინებთ ქალში ღმერთის მიერ ჩადებულ ამაგს...
ჩვენ მხოლოდ ჩვენი პრობლემებით ვართ დათარსული
და ვამბობთ: "ევას სისასტიკეს საზღვრები არ აქვს".

ბურუსის ხომალდი

27.08.2015.

მთაში ბურუსის ხომალდი დგას. იგი ფიცია
მთის ჰორიზონტის, როცა მღერის სიგრილე მწვანე,
უკრავს ქალაქის დატოვების კომპოზიცია
და ბიბინებენ ცრემლიანი ბალახის ზღვანი.

მრგვალი ფორმები, საყვარელი მრგვალი ფორმები!
დაუსრულებლად მიკიდებენ ისინი კოცონს,
ცხელ ნაგებობებს მუდამ ვებრძვი და ვეშტორმები,
ამიტომ უნდა ამ დალოცვილ ბუნებას, მლოცოს.

როდესაც მიწას აფარია შავი საბნები
და შიგ ვეხვევი გაოფლილი, თითქოს ჩემია,
თვითონ მთად ქცევის სურვილებით დავიდაფნები
და მელის მიწის ამაღლების აკადემია.

21

მარადისობის გაელვება

23.10.2013.

(სალომეს)

მე მძინავს. რძისფერ ბურანში ვარ თითქოს და ერთხმად
ვუმღერით ოქროს ხეივნებში თითქოს ერთმანეთს,
ჩვენ სამუდამოდ დაგვატყვევა სინათლის კვერთხმა,
მარადისობის გაელვება გვიყვარს ღმერთმანი!

იქ აღმოცენდი, ამოზიდავს სადაც ვაზი თავს,
მიწის ტალღების ამოხეთქვას ძალუმად შეძლებს,
იფრენს სიკეთე და ერთობა ცაში აზიდავს
მარადიული სიყვარულის ხელთუქმნელ კედლებს.

იქ გაიხარე, იქ ინათე და იქ აყვავდი,
სადაც კაცი ვაზს ეფერება, ჩემო ვენახო,
სწრაფი ხილვებით გაგაღიმებ შემდეგ ნახვამდის,
ოღონდ, არასდროს მოწყენილი არ დამენახო.

მომავლიდან

06.08.2015.

დავბორიალობ, როგორც მთვრალი. დამტოვებთ უღირსს, რომ დაგიბრუნდეთ მომავლიდან კარგი გესლივით? ნამდვილად ვიცი, ვერმცნობს ოქროდ ეს სიტყვა უღირს – ნუ გეშინიათ: მხოლოდ ბრძოსთვის, მე ვარ შეშლილი.

01.09.2015.

ცხოვრება ხშირად სამართლიან განაჩენს გვისჯის, რადგან გულგრილად ვეკიდებით ხანდახან სხვის ჭირს.

ვარ აკლდამაში

31.07.2015.

ვარ აკლდამაში. ღამეა და ველი გალეშილ სურნელს სიკვდილით და ვკანკალებ, როგორც ბალახი, გარედან აღწევს მოთქმასავით ყრუ საძვალეში რწყევის ხმები და სხვა მწყემსივით ვწყემსავ სხვა ნახირს.

შევმუზეუმდი ზმნის ზმუილში. ბიკინებიან ხილს მინებიან დახლზე ვუმზერ და ჩრდილში დავალ, როგორც აჩრდილი და თითები იყინებიან, როცა სხეულში უღმერთოთა მეღვრება დავა.

მინის წიაღში

06.07.2015.

მინის წიაღში ბინად არ მსურს სართული ქვედა. ეგებ, ედემთან ახლოს ვიყო, როცა წავალ და ზედა სართულის ჯოჯოხეთის მეწოდოს ტყვე და დიდხანს არ გავხდე ლუკმა ბნელის ქვეწარმავალთა.

ბნელი ხომ მაღლაც ბევრი ვნახე? გეყოს, დემონო! მე მხოლოდ ცალი თვალით მინდა შექვრეტა ცაში, რომ ბილნ სურვილებს აღარც ფიქრის ფიქრში ვემონო და შენ დამიკრა შეწყალებულს ამჯერად ტაში.

სამარის მიღება

18.10.2008.

სამარის მიღმა თუმცა ნისლია,
მაგრამ სიცოცხლის ხსოვნას იფერებს,
სიკვდილს გავექცე – მე შემიძლია,
რა ვუპასუხო მაგრამ სიბერეს?...

სამემკვიდრეო

31.05.2015.

როცა სალამოს პეიზაჟი ქალაქს ბანდა და
ქარი ბორგავდა, მე შევხედე ვიღაც ჯანდაბა

და მახინჯ წამყვანს ტოქ-შოუდან, მას კი ელოდა
დაბრმავებული ხალხის ცოდვა-მომხიბვლელობა.

მუდამ ვცდილობდი, არ მომეკლა თავი, როცა მე
მუდამ მინდოდა ასე, დღეს კი აღარ ლოცავენ

23

ჩემი აზრები თვითმკვლელობის უღმერთო სურათს
და ახლა ჩემი მომავალიც გეგმებში ცურავს,

თუ რა დავტოვო წასვლის შემდეგ, ვიცხოვრო როგორ,
მინდა, სიკვდილთან პაემნამდე დღეები ვზოგო,

ან აზრიანი რა შევმატო ცხოვრების კარავს,
როცა ძილი მკლავს და ცხოვრების მესამედს მპარავს,

რა დროს ძილია, მე არ მყოფნის სიფხიზლეც, თვითონ
და მონა-ფიქრი თავს მახსენებს (მმართავდეს ვითომ!)

ვბრაზობ: არ მინდა, გამახსენოს მონამ არასდროს
თავი და მინდა, ენის ნაცვლად, რწმენამ გამასწროს.

ხან მეც ვბრმავდები: მეჩვენება უდაბნო ბალად,
მაგრამ მახინჯებს სულ მახინჯის დაღებით ვდალავ,

რადგან ცხოვრება, არ შემინდობს ვიცი, სიავეს
და ჩემთვის აღარც სულის ხსოვნა იგადიავებს.

პოპლა ვირები

13.06.2015.

ლელვის ფოთოლმა კაცთა მყრალი ველი დანაღმა.
რატომ პოულობს მოზიარეს კაცთა დედლობა?
ბობოლა ვირებს ვერ შეუძრა სული ნანახმა...
რატომ ვეძებო ვირში სულის უბერებლობა?

სადაც ქალია ბრძოლის ველზე კაცთა უფროსი,
დროშების ფრიალს აზრი არ აქვს, ვერ ბრწყინავს თოფი,
რა გვჭირს ქართველებს მამათმავლის სასაუბროსი,
რად არის სულით კვაზიმოდოს სიტყვისქვეშ მყოფი
ბედი ქართლისა?

მთიდან გაგონილი

27.03.15.

24

ჩვენ მაღლა, მთიდან გავიგონებთ სუნთქვას თანაბარს.
კვლავ აწყვეტილი ძალადობა ზიდავს მძიმე თოფს,
კვლავ გადაარჩენს ქრისტეს ნაცვლად ხალხი ბარაბას,
მაგრამ ბარაბა დაბლა წავა, ქრისტე კი – მეფობს.

ჩვენი ძველების ღვანლის შედეგს ქარი არ აბნევს
(ჩვენს სასულდგმულოდ ღმერთი მუდამ ტოვებს იმედებს)
დემონთა ყეფა კვლავ დახეთქავს ყურთა ბარაბნებს,
მაგრამ ისინიც ბნელში წავლენ, ქრისტე – იმეფებს.

ხილვა

18.04.2015.

ღამით ვხედავდი, უსხეულო მდევდნენ კლანჭები,
არ ვეცემოდი, გალახული არ დავთმე მკერდი,
ახლა მშვიდად ვარ: აღარასდროს დავიტანჯები,
რადგან ზეცაში ამიტაცეს ხელებმა ღმერთის.

დილით, ჩაიზე, ფუტკრის შრომას პატივი ვეცი.
უწყვეტი ფიქრი მარტობის მადგამდა გვირგვინს.
შავი სარკიდან უხილავი მიღრენდა მხეცი,
ჩვენ კი მეგობრის არასწორი ნაბიჯი გვიკვირს.
ჩვენ გვიკვირს მტრედი თვალხილული და ჭოტი ბეცი.

ლამემ მომხვია ყველა ძვალზე ოთხი კიდური,
აყვირებულნი დამიყეფენ ახლა ძიძები,
მზე ამოცურდეს, როგორ მინდა, ცაზე წითური...
ლექსია ჩემი ძიძა! ის ბრმად და მონინებით
ტანჯვას მაყვარებს, ვით თვითმკვლელი შიზოიდური.

ნაცვლად წითური მნათობისა (ვიდარდო უნდა!)
ჰორიზონტიდან სისხლის ბურთი ამოვა ღრენით...
ვიღაც ტირის და მართალია! დრო ჩაგრავს ჩუმ და
მართალ კაცს!... ავი მუდამ სუნთქავს ბრმა მოვაჭრენით,
ნარბშეუხრელად ჩემი ენა ყოველთვის დუმდა.

25

გული გასკდება, ა-ა-ა-ა! უმტვრევენ კბილებს
დაჩოქილ ბატკანს, ყრუ აფთარი ხარხარებს შიშით,
სისხლს გადახსნილი ძარღვებიდან ღამურა მიღევს,
წყვდიადის ჯაჭვით ვარ დაბმული, ვყვირი: "გამიშვით!..."
სადღაც, შორეთში, ვუყურებდი მწვერვალზე ლილეს.

09.07.2014.

ვიღაც, ძალივით დაოთხილი, სცენიდან გვიმზერს
(ნაცვლად რას იღებს, სულს ეშმაკებს ვიდრე მიგვრიდეს?!...)
აყეფებენ და მიარჭობენ ვარსკვლავის ქიმზე,
შემდეგ პუბლიკას აჩეჩებენ ასეთ ჰიბრიდებს.

29.01.2015.

იმ კაცს, რომელიც ქულებს ეძებს ცემაში ქალთა,
დასაოკებლად თვითონ უნდა ნაღდად გარჭობა,
დიაცად უნდა აქციო და დაბა ხართან,
ვიდრე არ იტყვის: "მეც ქალი ვარ და გამარჯობა

ქალებო, ქმრისგან ჩაგრულებო" ... ქალობას ვაშა!
მათ, ვინც ათრევენ ულირს კაცს და იტანენ მაინც...
დღესაც ქალაქში იშვიათად ჩამოდის ვაჟა,
მთებში თუ ვნახავთ "პროვინციელ", მსოფლიო რაინდს.

გადაშლილ ნიგნზე

06.04.2015.

26 გადაშლილ ნიგნზე გაკრულ ხელში ფართხალებს ხილვა,
ჩემი ცხოვრება დააჩოქა ცნობადის ხილმა,

მე სიამაყე დამანათლა დემონთა დედამ,
მაზიდებს ხრამში, მაძაგძაგებს და უცებ, ვხედავ,

ვილაცის ტრაკზე დაწყვეტილი ბიკინებია
და მექალთანე მემრუშენი იგინებიან

და შუბლზე მაყრის ცხელ ნაკვერცხლებს ღრიალით ღრმა ხმა,
რომ საკუთარმა ვერ მიმიღოს ნერვების კრახმა,

სუნთქვა ეკვრებათ ოთხი ლურსმნის ნახვაზე მხატვრებს
და ვეხუტები სულის შიმშილს, ტალახში ნათრევს,

მე მანგრევს ხალხის ღრიანცელი, ხმაურს ვემდური,
დილეგში ნაგდებს მეცეკვება ჭუჭყი დენდური

და ვიცი: მუდამ იმიტომ მსურს სიცოცხლე გიშრის,
რომ ის მაგონებს ღამეს და ფიქრს არასდროს მიშლის.

რუსი ხმები

30.12.2014.

ლოდების ტყეში, რუსი ხმები ხმებიან ყელში.
დამცინავია ღამეული ღრენა აფთრისა.

მდუმარებაში გავაგზავნე პირუტყვი ელჩი,
მისი პასუხი ჩლიქით შემდგა და დამასრისა.

ფოთლის ლივლივზე მახსენდება: ფრენა მინდოდა
ჩუმი ბავშვობის ულიმლამო, ძველი ტივიდან.
შემძრავს და ყველა ძარღვს გაივლის უამინდობა,
ვიდრე საფლავზე გალაქტიკის ყვავილს მივიტან.

მე ისე მინდა, ისე მინდა ვენახი ქართა,
ისე მინდოდა, ბობოქარი ქარი შემენთო
მწვალებლებისთვის, როცა მათი მარწუხი ყარდა,
რომ დაიფერფულა სისხლიანი "mori memento"...

27

ვმერიქიფეობ. გაჯგიმულა გონჯი თამადა
– ხორხის ხერხი და წამახული ღოჯი ცხოვრების,
ღამის წყვდიადი საბოლოოდ ვერ მეკამათა
და მხოლოდ ხსოვნის ერთ პარაკლისს ვემათხოვრები.

ვწვალობ და მესმის (საკუთარი!) მტვრევა კისრისა,
ვწვალობ და ვებრძვი დემონების ბოროტ ჯილაგებს,
მფარველი ძილი გზაზე გველმა თუ გამისრისა,
სულში ჩირალდნებს განთიადიც ვერ ჩამილაგებს!

მას ვეტყვი, ვისაც

31.07.2007.

მას ვეტყვი, ვისაც ლექსი წიგნის გადაშლად ყოფნის:
ყველა ჩემია, ქვეყანაზე გული რაც არი,
მე ვარ ამგები ჩემი ნავის, ჩემი კიდობნის,
რომ არც იქ დავთმო ჩემი ხატი, ჩემი ტაძარი.

გრიგალის ხაო

17.01.2015.

თავის ქალაში ალაგია წყება დანათა,
მღვიმიდან მდევნის უსიცილო გრიგალის ხაო.
დემონის მზერამ შვა უდაბნო და გაანათა,
ვემორჩილები უჯრედების აუხსნელ ქაოსს.

კვლავ სრიალებენ ჩემს გარშემო გველთა გუნდები,
ავადმყოფი ტყე ჰაერს მაწვდის, ცხელს და უჯიშოს,
დამარხვის შემდეგ ჩემს საფლავში გადავბრუნდები,
ბნელ ხალხს სიცივე პოეზიამ რომ გაუთიშოს.

მე სიკვდილს ვეტყვი ველარაფერს! მხოლოდ ვამპირ და
ავ ხალხს უგონოდ დაკაწრავენ შავი კლანჭები,
ვერაფერს ვეტყვი, სანუგეშოდ რადგან დამპირდა,
რომ მის კედლებში ალარასდროს დავიტანჯები.

28

უკმაყოფილო პრიმატები

28.12.2010.

ახლა დუელში ვხვდები პრიმატს – ქუჩის მეკობრეს
და გონებაში ფანტაზია ველარ იმატებს.
თუ ჩემი ტვინი პრიმატებთან ვერ იმეგობრებს,
ვერ დავარქმევდი ადამიანს მარტივ პრიმატებს.

ვერ მოვუნონე, თუმცა, დარვინს მე თეორია,
მსურს გორილებთან მეგობრობა, დილა მზიანი,
სიტყვა „გორილა“ თუ ხეპრესთვის მეტეორია,
ბრძენისთვის რაა მაშ „კაცია-ადამიანი?!”

ადრე თუ გვიან, ყველა თავის სახელს იბრუნებს
(მე ქედს მოვუხრი იმ სახელებს, სულს რომ ათრობენ)
თავის წოდება თუ არ მოსწონთ ბნელ მაიმუნებს,
მაშინ ასე ვთქვათ: „გაუმარჯოს პითეკანთროპებს!“

უპასუხობა

16.01.2015.

ნუხელ ხახაში აჩონჩხილი არაყი ვისხი:
ჩემი სახელი გაუსვრიათ ლაფში კაცუნებს.
აუღელვებლად ვენაფები ცნობადის ხის ხილს,
სადღაც, მარცხნივ კი, დალენილი გული ტკაცუნებს.

და პოეტი, ხეპრეთათვის ჯაბანად იყოს,
თუ კრავის ქურქში უპასუხოდ შეიცნობს ცრუ კრავს.
სანახაობის პური უნდა ბრმა ფანატიკოსს,
ბრბო უშურველად ტაშს კი მხოლოდ თავდამსხმელს უკრავს.

მუზა

14.12.2014.

თუ შენ მე არ ხარ, ვერ გაიგებ, მანუხებს რა მე,
რომ სიფხიზლისას ტვინში სკდება კოშმარის ქვევრი,
რომ ღამე რძეა და დღისით მღრღნის ყორნული ღამე,
რომ გარინდებულს მელანდება აჩრდილი ბევრი.

29

სიმებიანი კომბალივით ცრუს და ნატყვიარს,
მას თვლიან ზღაპრად... იგი არი, მაგრამ სად არი?
მას გალაქტიკის აუხსნელი ტანჯვა ატყვია
და წვალობს ამ დროს, ნაზამთრალი როგორც ჭადარი.

ის ისე მოდის, როგორც ტალღა, ღრმა და უცები,
მან ჩემთან ყოფნის არითმია მე მანდო მხოლოდ,
მისია გული, უჯრედები, ეზო, ქუჩები,
ყვითელ წიგნებში მას უნდა, რომ მუდამ ვიქროლოთ.

როცა ლივლივებს, შემოდგომის წააგავს ფოთოლს,
იგი დუღს, როგორც გეიზერი, თბილი და მდორე,
როცა არ ველი (ზუსტად ვიცი) ის მაშინ მოთოვს,
ერთ მშვენიერ დღეს შევიშლები უმისოდ თორემ.

მარტოობის ნიხლები

08.12.2014.

ლამის გრიგალი აღრიალებს გვირაბში ფოლადს,
თეთრ ჰორიზონტზე ვუთვალთვალებ სიკვდილის გემებს.
ღრმა ქვესკნელეთში ჩაკირული კივილი ბოლავს,
ჩემი აჩრდილი ახლა მხეცის კლანჭებს იგემებს.

ლმერთო, სამყაროს უგულობით ისე ვიღლები,
სიკვდილი ისე მინდა, როგორც წყალი ხრიოკებს...
მუდამ ხალხში მყოფს მარტოობის მხვდება წიხლები,
ვიდრე კუბოში უკუნეთი ამაწიოკებს.

ჯვარით, კალმით და ნიგნით 07.8.2013.

(სალომეს)

30

იდექი მარტო, როცა, ვხეტიალობდი იქით,
სადაც ამ გულმა გლოცა ზურმუხტისფერი ჭიქით.

მზეს უმართავდი დუელს, გიფაკლდებოდა ღანვი,
ეს რა ცეცხლია, თუ ეს ჩემი წერილი დაწვი?

წამო წავიდეთ, წამო, სადაც ხიდია ბეწვის,
სულის მარადო წამო, მე ის ჭრილობა მეწვის,
რომ მომაყენე შიგნით... ავიტან, დიდხანს გელი,
ჯვარით, კალმით და წიგნით და სიყვარულის რთველით.

ჩემი კალამი ტირის, მე იმ ტბის პირას ვთბები,
სადაც მარტოსულ ტირიფს ჩამოუშვია თმები.

მე შენით ვტკბები მარად, ორმა ვიცოცხლოთ ერთში,
უმაგთვალებოდ კმარა, უკვე სიკვდილი მერჩის!

30.09.2015.

მონად დარჩება მონა მუდამ. მყრალი მონა კი
ათასგზის, რადგან პურს ბატონებს მიაწვდის ველარ,
შენც გინდა ერთი შენი საქმის ალიმონაკი,
თორემ ხომ ხედავ, უპიაროდ დუმილის ტყვე ხარ.

ახალი ცელი ღრუბლის ღრიშოდან

31.12.2014.

ღრუბლიან წელს ცვლის ღრუბლიანი ახალი წელი,
ძველი წავიდა და იგივე ახალი მოვა,
ჯაგლაგმა ცხენმა გაიქნია ბებერი წელი,
რომ ციდან თხების სარკასტული ჩამოხტეს გლოვა.

არაფერს ველი, მოდის მუნჯი წელი მორიგი,
რა სითეთრეა! თოვლი მხოლოდ მინაზე არ დევს...
ჩემი ცხოვრების უხილავი დირიჟორი კი
კვლავ მაგიური ჯოხის ქნევით დამაყრის დარდებს.

ცრუ გვირგვინი

31.07.2015.

ყველგან ვეძებ მეუფეს. ნეტავ იგი სად არის?
სად ვიპოვო მკურნალი? რატომ მდევნის გესლივით
მისი არარსებობა, როგორც სულში ღადარი?
რატომ არის შუადღე სალოსივით შეშლილი?

31

ყველას რატომ იმონებს მისი ძვირი სიელმე?
ყველა რატომ გაურბის სიმართლეზე საუბარს?
მე ვნანობ, რომ ქრისტესთვის აქაც ვერ გავიელვე,
რადგან ბნელი გამეფდა და სინათლე დაუბამს.

ვხედავ შიშს და სიმართლის ტაბუც მკაცრად გვიყურებს,
დავინახე, სირცხვილის ხილს რომ თქვლეფენ მონანი,
ვიღაც ტახტზე ამძვრალა, მეფე ალოგიკური,
ემამება ნიღბოსნებს ბიბლიური ონანი!...

დავეძებდი მეუფეს ქვეყნის ზედა სართულის,
მაგრამ იგი გამქრალა, როგორც ძველი სიზმარი,
თავზე უხვად გვენგრევა კიბე უკულმართული
და გვირგვინი გვაბრმავებს, ცრუ და ნათილისმარი.

მე გავიქცევი ჩემი მტრების გამო იფიდან!
 მიწამ არწყია ზედაპირზე იმდენი ქვა, რომ
 ამდენი სპაზმით მისი გული გამოიფიტა
 და ყველგან დენა დაასრულა სიწმინდის წყარომ!
 მე გავიქცევი ჩემი მტრების გამო იფიდან.

დროო, უბედურს შეუწყვიტე ცრემლი სახეზე
 (ტირილს ქარივით ვისრუტავთ და სიცილი გვიკვირს)
 უშრეტი რწმენა ჩამისახე და გამაქეზე,
 ვიამაყო და დავეუფლო მონარქის გვირგვინს!
 დროო, უბედურს შეუწყვიტე ცრემლი სახეზე...

ზღვის ნაპირზე

03.09.2014.

32

ჩაძინებული ყურს დავუგდებ ტალღების ლივლივს,
 პალმის ხანჯლები დამყურებენ, კლდეები დგანან.
 ჩემი მირაჟი ლოდებიან ნაპირზე ივლის,
 კვლავ იშრიალებს თოლიების რძისფერი ყანა.

ასე მშვიდი და ნებიერა ვიღიმი ისე,
 გული ეტკინოს არასოდეს არავის თითქოს...
 ქვიშაზე ფეხის ადგმას ვსნავლობ ჩვილივით, ისევ,
 რომ ჰორიზონტზე შევეზარდო მენამულ დისკოს.

პველი მონასტრის ადგილზე

30.05.2014.

ძველი მონასტრის ადგილზე დგას ახლა დუქანი.
 სადლაც მეგობრობს ბავშვი ყუთთან. აჭერს კოტიტა
 თითებს ღილაკებს. ახლა გახდა ბავშვი მსუქანი.
 ხშირად მეგობრობს ბავშვი ყუთთან, როცა ოდიდან
 ზეცაში იყო სული ჩვენი – ფრთები შევარდნის...
 ახლა ღრეობენ, უნდა რეკვდეს სადაც ზარები
 და მარხვის ნაცვლად ფეისბუქზე ლოყებშევარდნილ
 და ჩონჩხადქცეულ ბერის ფოტოს აზიარებენ.

თხუთმეტი ცლის ნინ

10.08.2013.

მგელმაც იცისო ანაბარი (მგლური, მგელმა კი)
ძველთაგან ვისმენთ, ნათქვაში პრძნულად. მაგრამ ტურები
იცდიან, ვიდრე სისხლისაგან დაგვცლის ეშმაკი
და ხარხარებენ, უფსკრულისკენ თუ ვიყურებით.

ვიდექ საზღვარზე საქართველოს, თხუთმეტი წლის წინ,
ვიყავით ორნი, მე და ჩემი სიკვდილის მკვლელი,
სმენას გვიფლეთდა შუალამის ნათება ბილნი
და ჩვენს წინაშე ინგრეოდა თითქოს ქვესკნელი.

დაფრთხა დუმილი, ცა აინთო ჩვენს წინ ანაზდად,
იხუნძლებოდა ჰორიზონტი ნაპერნელით მრავალ,
თითქოს სიცოცხლე ყვავილივით უცებ განაზდა,
თავში ფიქრები ლრიალებდნენ: „მიწაში წავალ!“

გირჩევთ წინასწარ, ნუ ზეიმობთ ტურებო მაგრამ, 33
ნუ გიკვირთ, კოვზი ჩაგივარდათ ნაცარში თუკი,
რას აპირებდით, მოგიყვანათ ან სტუმრად აქ რამ?
დამარცხდით ჩვენთან, ვერ ჩაგვიქვრეთ თვალებში შუქი!

თხუთმეტი წლის წინ საქართველოს საზღვარზე ვიდექ,
ჩემი სიკვდილის მკვლელი და მე, ვიყავით ორნი,
სიცოცხლის ნება ჩვენც გვმატებდა ძალას უდიდესს
და ჯოჯოხეთში გაგვირბოდა ჩხავილი ყორნის.

ფუნვი

29.06.2007.

უცნობ ნახატს წერს სალვადორ დალი
უსასრულობას ხატავს უჯიგროს,
ისევ ტრიალებს ტანჯვის ბორბალი,
ქრისტეს ბარაბა რომ გაუჯიბროს.

ჩემს სულში ახლაც მისი ბაგე რბის,
ნახატზე ბარდნის თეთრი ზმანება,
თვალებში დაქრის სინმინდე გერბის
და პალიტრების განირვანება.

3. ბ. მეფარე

რუკაზე არის ორი ფერი: სისხლისფერი და ღვთის კალთის ფერი, დანარჩენი არსებობს აღარ, კავკასიონზე გააგორებს ნაყოფს ერიდა, ყვითელ ფურცლებზე დააღონებს მტრობის ნიაღვარს.

ქალაქები კი ისევ დუღან, ისევ ბოლავენ, კავკასიონზე გაიყვანენ ვიდრე ახალ გზებს და ამ სიგიჟეს, ძველ აღაყაფს და ჩახუტებას ეს პოლარეთი ვერასოდეს ველარ აღაგზნებს.

იქნება, მოვიდეს ხანა

08.09.2015.

ლადოს სიტყვების ალი, გალაკტიონის რითმა, იმედს მიტოვებს ხვალის – რტო მომიტანოს გვრიტმა.

34

მუხა-მუხრანის ძარღვებს უამი ვერაფერს უზამს, ვერც ახალი დრო არღვევს, ვერ ართმევს რკინის მუღამს.

დრო უმოწყალოდ ერჩის ვაჟას ფოლადის ენას, მაგრამ ვერც დრო და ვერც ის ფაქტი წაგვაროთმევს რწმენას,

რომ გაგვიყიდეს დავით გურამიშვილი მონად, როცა ფარავდა შავით თეთრს ლუციფერის წონა.

იქნება, მოვიდეს ხანა რუსთაველური მჭევრის, ეგება, ავდგეთ, სანამ აგვიტირდება ქვევრი...

ჯვრის მიმოქცევა ჩადო ღმერთმა ქართველთა მეში, გვებრძვის იუდას ჯადო, მეფობს დროდადრო ლეში.

იბრძვის კვერთხისთვის დასი ჰალსტუხიანი თხების... ეცემა სიტყვის ფასი, მუავე სიცრუით ვძლებით.

გვენგრევა ძველი ჭერი, ძველი ანდერძი დაგმეს... მე არასოდეს ვმღერი: სამღერლად არ მაქს საქმე.

იყოს გმირების

17.10.2008.

ხანდახან ლომიც ბეჩავდება. აი, ცხვარი კი
არაა ცხვარი, თუ გაცხარდა, არამედ – ლომი,
მაშინ კი ტვინში ძველ აზრთა რიგს შეცვლის სხვა რიგი
და წყნარ უჯრდებას ეუფლება ბინძური ომი.

რეკავს აგვისტო. იარაღში ვერ ვხედავ ნათელს
– პირველად ტურა იღებს ხელში ჟღერად სატევარს,
სისხლიან კვირას ძველი ხსოვნა გააქათქათებს,
იყოს გმირების – ამ სასმისით მათი მნათე ვარ!

ქაფე „როტონდა“

23.09.2015.

იდგა კაფე „როტონდა“ ხელოვანთა გუბეში,
საღამოებს მოქონდა მხატვრებისთვის ნუგეში.

35

აქ შეიცნო თვალები ამადეომ უანასი,
თრობის ფესტივალები და ფერების თამაში.

ამ უზადო ქალით რა საგანძურიც დახატა,
გააცოცხლა პალიტრა, სიკვდილს შეუძახა და...

არ დანებდა დაცემით მომხდურს დიდი პატივით,
თრობით განატაცები შეხვდა იმ ოსტატივით,

მასზე დიდი რომ არის, მასზე მცირე კი არა...
არ აქვს ლომს ნალომარის მარცხიანი ტიარა!

„ლომი რჩება ლომადო“თ, ერთმა ძველმა გამანდო,
ყულფი უნდა მომადო, თუ გავტურდე, ქამანდო!

18.10.2015.

ხდება, ცოცხლობდეს მკვდრადშობილი! ვხედავ და ვიცი...
ან ცოცხლობს მკვდარი! დარჩებოდეს დე, ეს იარა
მას, ვინც იცხოვრა თუნდაც, ცოტა, მაგრამ თავისი
სულის სიმართლის საგალობელს შეეზიარა.

დღეები სეტყვის

10.08.2015.

ნეტავ საიდან, რისთვის, მოდის დღეები სეტყვის,
ასე მღვრიე და ხისტი, კარგს რომ არაფერს გეტყვის?

ან რატომ მხრავს და ვიტან, რაც მანადგურებს, იმას,
რატომ არ ვაძლევ ციდან წამოსვლის ნებას წვიმას?

ანდა, რატომ ვარ ენით ავთა მძევალი, რატომ,
ან, რატომ ვდნები სენით, რატომ მიმსხვერპლა ჯადომ?

ველარ მიმილო ბალმა სტუმრად... დავეძებ კუბოს,
ახლა სიცოცხლის გალმა სიკვდილის ნება ჩხუბობს.

საალავერდო

06.06.2015.

36

მინდა, ჩავჯდე სხეულში, აღარ მინდა, გავერთო
ამქვეყნიურ ამაო საქმით, როგორც აქამდე,
მუდამ ვცალო უდაბნოს თასი საალავერდო,
ვიდრე გვერდით გალოკილ თავის ქალას ვნახავდე.

ვინახავდე ჯიბეში უსაფუძვლო იმედებს,
სამუდამოდ მნამლავდეს პოეზიის სამსალა,
სულის გადასახლება სხვა სხეულში იმედებს,
ლექსში ღმერთმა ერთ სიტყვად სამუდამოდ გამშალა

და მეწოდა მეფარე... ყოფა თითქოს ტახია,
ჩუმად ვზვერავ სტიგმატებს, მათ რომ ვგავდე, მინდება,
წუხანდელი ხავილით ხვალინდელმა დახია,
მინდა ვნახო ყინულის ტყეთა გაამინდება,

მინდა, ჩრდილის აჩრდილი! (ლამის ქუჩებს აყუჩებს)
მინდა, ნეკნის ხიდები გრძელი სახრით ვლენო და...
მე დავაგლეჯ უხილავ ვამპირს შხამის ლაყუჩებს,
რადგან, რომ დავიბადე, მე მაშინვე მეწოდა
მეფარე...

განთიადის დოკილი

23.08.2013.

(სალომეს)

ცას მიაკერე ღილები შენ ვარსკვლავებად, ყვითელ,
შენს სულში ავიზილები, შენს გრძნობას ველარ ვიტევ.

ხარ განთიადის დობილი და დიადემა ხვალის,
დატოვე გულგაპობილი ქათქათა ღამის კვალი.

გაჩუქებ ყველა თაიგულს, გაჩუქებ ყველა ყვავილს,
დაე, სამყარომ გაიგოს – ედემი ისევ ყვავის!

გაღვიძებისას, სალომე, დაგინერ ოქროს ბარათს:
მსურს, გულში გეგრიგალო მე და შიგნით დავრჩე მარად.

ცეცხლის ალყაში

25.02.2015.

37

ზღვის ტალღები მოდიან, გულზე აღარც ლოდია,
მოდის ის მელოდია, რომ დაუკრა ქალაქმა.
სულ ქანაობს აკვანი, ისე, როგორც ზრახვანი,
ჭიდან ამოსაყვანი ალი ალმა ალაგმა.

მემტვრევიან შუბები და სასახლე უგები,
შუბლზე დანაგუბები ახმაურდა ნიჟარა.
დღე გათენდა ახალი, ბრაზით ჩხავის ბახალა,
ბახმა ხმა დამახალა და მზემ ინაგიჟარა.

ჭრილობაში წისკარტი ჩიტმა ჩაყო სისხარტით,
გველო, უსაზიზლარდი ქვეწარმავალს ქონიან.
ჭუჭყს ცხოვრება აქ ატევს, სადაც ჩეხენ ნახატებს...
ყალბი ვერ იღალადებს ისე, როგორც გონია.

შემოვარდა ტალღა შინ, ვდგავარ ცეცხლის ალყაში,
ცეცხლის გარეთ ალქაჯი დამხარხარებს მაღლიდან.
ყველგან ვწიხლავ ცრუ მიწებს, გვერდზე გველი თუ მიწევს
და მჭორავენ: უვიცებს რა ჯანდაბა დაღლიდათ?!

გამოვედი მღვიმიდან, ცხენზე შევხტი შავრაზე,
მოვიწმინდე შუბლიდან წუხანდელი ოფლი და
ულიმღამო წარსულის ყველა კარი ჩავრაზე,
გავიქეცი ცხოვრების უსახური სოფლიდან.

ჩემს სულს მარადიული სამყოფელი განაგებს
და ნელ-ნელა ვშორდები მატერიის ბანაკებს.

ირგვლივ უნდა გავკათო ბოროტების ბარდები,
თეთრი უნდა ჩავიცვა, გავიხადო შავები,
ანგელოზთა ჩურჩულებს მორჩილ მძევლად ვბარდები,
მძიმე ბრძოლის ფერხულში ხელგაშლილი ჩავები.

ჩემი უდაბნოეთის წაიტირა ქალაქმა,
მაგრამ ჟინის ქარცეცხლმა ეს ქალაქიც ალაგმა.

38

ჩემმა ძველმა ცხოვრებამ სხვა ზვიადი იცოდა:
ჯიუტი და გულგრილი, უხეში და თავნება...
თავის ცნობის გარეშე რაა მარადისობა?
მე დუმილში ჩავახშე ძველი ამპარტავნება!

ვხატავ დღემდე უხატავ, ამღერებულ ნახატებს,
ეს სურვილი მოწყენილ ძეგლსაც ააღაღადებს.

ავის მოსურნეებო, რამდენი ხართ ნეტავი?
მოდით, დაგთვლით უბრალოდ, მერე წავალ მე მზისკენ,
თქვით, რაც გინდათ, ჩუმად ვარ... არ ვარ რკინის მკვნეტავი,
მაგრამ არ გაგეჩიროთ ყელში ბოლმა ჩემსისქე.

მინდა, გითხრათ მადლობა: ამით ამპობთ, ვინ ვარ და
თქვენი ჯავრი უფსკრულის ფსკერზე რომ ჩამივარდა.

დამიჯერეთ, უბრალოდ, არ მსურს, მოვკვდე ჯავრით მე,
ყველა ნაკვთი მიღიმის ამ სიტყვების წერისას,
თქვენი ყველა სახელი სულ ფიქრებში გავრითმე,
გული ტყვეა სილალის და სიმშვენიერისა.

მე მიყვარხართ, თქვენ გძულდეთ, ასე იყოს სოფელი,
მაგრამ სიძულვილისთვის თქვენი ვარ მადლობელი.

ლამის გრიგალები

22.08.2015.

სამრეკლოში ვიდექი მძიმე ზარის მრეკავად,
მოვუხმობდი იესოს, ქოჩორს ქარი მიშლიდა,
ხელში ოკეანეთა ქარიშხალი მეკავა,
ვქმნიდი პლანეტისხელა მარტოობას გიშრიდან.

ვნაყრდებოდი მშიერი მოღავლავე მღვიმეთი,
ყველგან დავაბოტებდი ფიქრით, სადაც მანამდე
მხოლოდ ყოფნას ვნატრობდი... იქაც სტუმრად მივედი,
სადაც ალარ მელოდნენ... მინდა, ცრემლით ვნამავდე

ლაწვებს დედამინისას, როცა ცოდვა მაქვავებს,
დაშხუიან ყურებში გრიგალები ღამისა,
ჩხავის ყვავის დუმილი, ხმებით ვხატავ საყვავეთს,
ბრაზით ვღუნავ ბრინჯაოს, ცამდე ვმალლობ ლამის, ან

39

ვიბზარები სარკეში! – პატარა ვარ, რადგან ის
წელანდელი სიმაღლე იღუზის ფანდია,
აფთრის ღრენად ჩამესმის ჩუმი კვნესა ბატკანის
და სასტიკი წყვდიადი პირის ღრუში ანთია!

თავს ვირიყავ! ვზრდი რძისფერ ველზე ბგერის ხარისხებს
და ჩემს თავში ვმარტოობ, როგორც ბალი უდამო,
დედაბერი-სიბნელის ჯადო-სახე მარისხებს
და ულრმესი ჯურღმულის კერპი ვარ სამუდამო!

23.10.2015.

რადგან ერთმანეთს არ ტოვებენ ტვინი და ენა,
კუჭი და ხელი, გონება კი გრძნობებს იმტერებს,
არ გვეშველება არაფერი: დგება კაენი,
ჩვენ კი ფუტურო ტახტებისთვის ვავლენთ ინტერესს.

მთვარე ისე ამოდის, როგორც დილის ურდული,
ვერასოდეს ბრკოლდება ჩვენი რწმენა სავლეთი.
მზერა ასკეტ ტრაპეზარს მე დავადგი ქურდული,
ქრისტეს ხორცით განათდეს მინდა, აღმოსავლეთი.

გადაირბენს კაბადონს მდინარეთა კარეტა,
სმენას ატკბობს მუსიკა: სადღაც უკრავს ფლეიტა,
ისევ ძალა მჭირდება მშვიდთა და მდუმარეთა,
რომ თანხმობა დავბადო რუხი ოდისეიდან.

იფანტება ღრუბელი და ვეღარ ვთვლი ზეცაზე
ქიმებიან წერტილებს, ბეჭლს წავართვი ფერი და
მინა მუდამ სველია და ვიქნები მეც ასე,
სიმწვანეა უსრულო ჩემი მშვენიერი და.

40

რაღაც ისე წკაპუნობს, თითქოს უკრავს დაირა,
ვხვდები, რატომ ვსველდები: ცაზე დოქი არი და
ცეკვავს, როცა ივსება, ცეკვავს ნაირ-ნაირად,
რომ გალობა გვესმოდეს მუდამ დოქიარიდან.

ამოვიდა მთვარე და გააქანა კარეტა,
სადაც უნდა ექროლა და მეეტლე ვაქეზე,
მეორმოცედ ვითხოვე სული კაცთმოყვარეთა
და სიმშვიდის სიტყვები დაილვარნენ სახეზე.

დუმილი

28.08.2011.

დუმილია ჩემი დიდი მეგობარი ზამთრისა,
თითისსიმსხო ცრემლებს ვლვრიდი, როცა მტრობამ გამსრისა.

ყველას უნდა თავის სიტყვის და სურვილის გატანა?
ასე მტრობაც სიტყვას იტყვის, იხარხარებს სატანა.

არ იციან, რომ იდეა ღმერთს ეკუთვნის სამოთხის,
თმენა არის ორქიდეა, მტრობა – სულსაც ამოგვხდის.

შენი ფესტევანი

02.02.2015.

(სალომეს)

ისეთ ნათელს ასხივებ ღამის შუქით მორთული,
ძველი მხატვრის ნახატი როგორც, ნატურმორტული.

ჩემს სიზმარში შენს სახეს ლურჯი ზეცის ხახა დებს,
გავხარ ამოუცნობი დროის ზღვისფერ ნახატებს.

უიმედო დღეებმა მე შენამდე მიმზირეს,
გიპოვე და ვივინყებ იმედების სიმცირეს.

ისე არის გამჯდარი ჩემში შენი ფესვები,
რომ დღითიდღე ვმაღლდები, დაბლა აღარ ვეშვები.

სულ ლექსებით ამიგსე წიგნები და დაფები,
მხოლოდ შენ რომ მომაწვდი, იმ სულს დავეწაფები!

41

მოდიხარ და მუსიკა მოგაქვს ყველა დროიდან,
სიკვდილამდე ისევ იმ მოგონებებს მოიტან,

მე რომელიც მაცოცხლებს, შენ გაღიმებს რომელიც...
ვიცი, მარადიული სიამაყე მომელის!

ზამთარი

26.12.2012.

ზაფხულს როცა გავშორდი, შევეჩეხე სიცივით
მოსილ ზამთარს. ვებრძოდი მის სუსხს, მძაფრს და ეკლიანს,
მზეც დავკარგე, ცოდვილი ანგელოზის ფიცივით,
ეჰ, ცხოვრების ზაფხულიც მთვარის ანარეკლია!

მხოლოდ შენ ხარ ზამთარო, იარაღი მეხისა,
ჩემს სხეულში უკრავენ შენი ცივი გამები,
თუ ოდესმე გაყინულს მზის სხივები მეღირსა,
ამ ცხოვრების სიცივით აღარ დავიშხამები!

უძლები შვილის სიმღერა

16.07.2015.

ნეტავ, მომცა ყოფისთვის სარდაფი, ან გომური,
ჭერად – ისლი, ბალიშად – მშრალი მიწის მკერდი,
ნეტავ, მომშორდებოდეს დარდი ავადმყოფური,
არ დამავიწყდებოდეს, ადრე მეც რომ ვძგერდი.

სასწაულის მარწმუნე უმადური მემკვიდრე,
ღმერთო, მაყურებინე საოცრებას, მერვეს,
ლუციფერის მარწუხი შიგნით შემომემკვიდრა
და მგელივით ეძგერა ავადმყოფის ნერვებს.

დღე და ღამე ლათში ვარ ჭუჭყიანი ძალლივით,
შერცხვენილი ვედები ჩუმად მამის ღობეს...
მამისათვის ურჩობამ სახე მომცა დალლილი,
სარკასტული ჭინკებიც მუდამ ჩემში ბჭობენ.

42

უპოვარი დავძრნივარ ყრუ მიწაზე შიშველი,
ჩემი ესმის არავის, ამაო მოთქმა...
სახლში როგორ დავბრუნდე, თორემ კერა, მიშველის,
რომ ჩემს სულში გავჟლიტო უგუნურთა მოდგმა!

დრენის სურნელი

07.08.2015.

გაანათა შორიდან მწყემსის თეთრმა ფაფახმა,
ამოცურდა მინდორში ოქროსფერი ბურთი,
მარტობავ, დუმილი ნეტავ რატომ დაგახმა
შუბლზე, როცა მეგობრად მუდმივობას სურდი?

უნდო ქალაქს დავშორდი და უდაბნოს ვეხუტე,
თუ დაარღვევს, დაარღვევს მყუდროებას მხოლოდ
კაცთა ღრენის სურნელი! ბორგავს გრძნობა მეხუთე
და შენც, ღამის ღავლავო, თეთრ ველებზე მქროლო.

მუდამ რაღაც მეძახის, უკან, რაღაც მეძახის!
კბილებია წარსულის, დაბრუნება ისე

მინდა, როგორც პატარას მწკრივი მწიფე ვენახის,
ანდა როგორც ჯარისკაცს გამარჯვება მტკიცე.

მაგრამ უკან ვერ წავალ, მე წინ უნდა ვიარო,
როგორც ფარის წინ დადის მედიდური ვაცი,
თავზე მედგას ლექსისთვის წამებულის ტიარა
რომ ვისწავლო ტლუ ხალხში შეშლილობის ფასი!

პეტები

23.02.2015.

მაღლა, მთებში, გავუშვებ რქებდაგრეხილ ვერძებს
და ორ მფარველ ანგელოზს ვიყოლიებ გვერდზე.

ნეტა, იალალების მიღმა, ნისლში, ვინ ჩანს?
დევის სისხლით უჩინო დოქი მიგსებს ფინჯანს.

43

ველზე ვუახლოვდები გაქვავებულ მხედარს,
ბნელში ვუჩინარდები, ველარავინ მხედავს.

თვლები უჭრიალებენ ჩემსკენ მქროლავ ეტლებს,
ახლა ჩემს შეჩერებას ვეღარავინ შეძლებს:

მდინარეთა უდაბურ ნაპირებში ვძვრები
და გარშემო ხმაურით ამოდიან ჯვრები!

სამუდამო ბინადრად კვლავ მიმიღო გზამ და
მე ყოველთვის ვიცოდი, ამას რომ იზამდა.

ცნობის იქით შავდება, ფერმკრთალდება აქეთ,
პოეტებმა მაგრამ ის სიწყვდიადე ვაქეთ,

მუდამ ჩვენსკენ რომ ილტვის და ჩვენში რომ სახლობს,
სხვა სიცოცხლე შორსაა, დალუპვაა ახლოს!

მთა

04.08.2014.

მოიწყინეს ძველმა გზებმა ჩარგალიდან მუცომდე:
 ცხვრის თავები ეკლესიის ეზოებთან ყრია...
 ქალაქს უნდა, მთის არწივებს არტერიას უწოვდეს,
 კედლის ხმლებიც ივიწყებენ ძველებურად კრიალს.

დაუბერავს ისევ ქარი შატილიდან მცხეთამდე,
 დაე, ისევ იალაღე გაგვაგ ზავნონ გზებმა,
 წინაპრების დანატოვარს ქარი აღარ ხვეტავდეს,
 ვაჟასავით რომ მოგვინდეს ისევ მთასთან შებმა!

სამომავლო ხილვები

19.09.2014.

44

ცეცხლო, ჩემი წარსული დღემდე, მოდი, ალკე,
 გადაგრაგნე უფსკრულში გუშინდელი ბეჭედი,
 ვნახე თავი საფლავის ქვასთან მოდიალოგე,
 დავდაბლდი და სურათთან საბოლოოდ შევჩერდი...

ჩამაფრინდა თვალებში ეკლიანი მუზა მე,
 (ჩემო თავო, გიყვარდეს, ვინც ქარს თვალწინ დაგიდებს!)
 ჩემს წერილებს ოდესმე, ნეტავ, რაღას უზამენ,
 სამომავლოდ ვინ გაწმენდს ჩემს მარტოსულ მაგიდებს?!

წამწამივით ირხევა უხილავი ფარდები,
 ვხედავ მას, რაც არ არის!... არსადაა სირბილე,
 ხვალის ხილვებს წყვდიადში მუდმივ მძევლად ვპარდები;
 უდაბნოში წვეტიან ქვებზე გადავირბინე!

თავსხმა

21.09.2015.

ნოსტალგიური დამატყდა თავს ხმა:
 შემომენატრაშრიალი ხეთა,
 ტირილნარევი ხითხითებს თავსხმა,
 დაჭრილ ტოტებზე დასისხლული ჩიტები სხედან.

ფრთხების ფართქუნი მტრედმა ატეხა!
შენ, ჩემო ლექსო, ნამდვილად ვიცი,
რომ თოვლისფერის მოღალატე ხარ
და ამიტომაც, არასოდეს გახდები სხვისი.

ქორცილი მუსებში

03.06.2014.

როგორ ცივა ამ შუადღით, ცა მჟავე და ქუფრია,
ალბათ, მალე მომენტევა დეკემბერი ცხოვრების,
ცრის და თვალს მჭრის ნირვანაში ყორნის ფრთხების კუპრიან
ჩრდილქვეშ მძაფრი გრიგალი და სითბოს ვემათხოვრები.

სადღაც რბიან ეს ფეხები, უტანოდ და უთავოდ,
თავს პოულობს შემდეგ, მაგრამ თავი რაა უტანოდ?
ფანტაზიავ, ჩემო მკვლელო, ჩემო სულთამხუთავო,
სულს სიგიჟის განაჩენი უნდა გამოვუტანოთ!

45

ჩავატყორცნე ცხელ ქვესკნელებს გველგამზრდელი აკვნები,
ახ, ამდენი ხოხვისაგან დამყულიფა მუხლები,
მაგრამ ძველი ტკივილებით აღარ დავიკლაკნები,
წელს გავმართავ და მუხებში აპრილს შევეულლები!

აგვისტოს დილა

07.08.2015.

(ნატალია ბოგვერაძეს და თეონა იაშვილს)

იელვა დილამ აგვისტოს, სიბნელე უმალ გასრისა,
რომ გულში ცეცხლი დაგვინთოს ლოცვა-გალობამ ტაძრისა.

აქ ქარი როკავს ისეთი, ხმა ხორციელი მგონია,
ბუნების სიფაქიზეთი იღვრება სხვა სიმფონია.

გაშლილა მწვანე ტატამი და წრეს ურტყამენ ყანები,
თითქმის ყოველი ადამი ღმერთშია შესაბრძანები.

მე კი ვერა და ვერ დავდე თავი ვერასდროს საუფლოდ...
მინდა, ამაზე ღმერთამდე მორჩილებს გავესაუბრო.

აჩრდილები

11.02.2015.

მთელი ლამე ჩამესმოდა ყურში მოღალატე ხმა:
"ქალაქიდან შორს გავიქცეთ და წავართვათ მზეს ხმა" ...
სულ დახარჯა ენერგია მცირე ღრუბლის ნატეხმა,
ამაოა ჩემს სახეზე მაგრამ წვიმის შესხმა.

მინას არყევს უძილობის უმძაფრესი სიავე,
სამუდამოდ მიმატოვა განთიადის შუქმა....
მე საკუთარ დაცემაში ვეღარ ვიპანიავე,
უნდა გავხდე დაწყევლილი პოეზიის ლუკმა!

ყოველ დილით ვიფერფლები, ყოველ ლამით ვინთები,
ვერ ვპოულობ მოსვენებას, ის არ არის არსად!...
ღრმად მითოვენ სიბნელეში ვრცელი ლაბირინთები,
თუმცა, ვთხოვე დახმარება ეკლესის ზარსაც.

46

გავუყვები სამარისკენ მონარნარე ბილიკებს
და ვიქები უბოლოდ ბედნიერი ამით,
ცრუ იმედის ცრუ სიმშვიდე ვეღარ გამაქილიკებს,
უნდა დავდო ჩემს წინაშე ღრიანცელის გვამი!

გულში ვიკრავ სამომავლო ხსოვნის გამხმარ ნაფოტებს,
მუდამ უკან ვიყურები, სამში ვცხოვრობ, დროში,
მოუვლელო საფლავებო, ჩემში რას დააბოტებს
მუდამ თქვენი აჩრდილების ავადმყოფი გროში?!...

მთანი გაღალი

16.09.2015.

გვიხმობენ მთანი მაღალნი, მოვშორდით მტვრიან ქალაქებს,
აქ სინმინდეა ისეთი, ფიქრებსაც ლოცვა ალაგებს.

ზარების ახმიანება გუმბათებისქვეშ გვატარებს,
აქ დავინახეთ, რანი ვართ, რა გვიხმობს მთებში პატარებს.

ჩაგვესმის ვაჟას ჩურჩული, ვლაშქრავთ ბილიკებს, ფრთიანებს
და შორი გზების სიმაღლე ჩვენ უფრო გვაერთიანებს!

გათენებისას

04.09.2015.

გათენებისას მღვიმეებს შუქის მახვილი მიახტა
(ჩემი ყვირილი რას მოვა ყრუ ეშმაკების კრიახთან?!)

ლრუბლებს ვწველიდი მწყურვალი, წყარო ვიპოვე გვალვაში,
სადღაც კი მისეირნობდნენ შეყვარებული ქალ-ვაჟი.

ვათვალიერებ შენაძენს, გულხელდაკრეფით უყურებს
გაკრეფილ ქალაქს მეხი და ანთებს გონების შუქურებს.

სახლში შეისმა ჩურჩული, მე და კოცონი გავკივით,
აყეფებული სიკვდილი მოქროდა ტომაპავკივით.

მზე ინვა თეთრ მაქმანებში, უძვირფასესი ფულურო
მგონია ლრუ ნესტოები და მინდა, წარლვნას ვუყურო!

სალ კლდეებს ხარი ვესროლე, გრძელ რქებს ვალენავ დრაკონებს,
შემოდგომისფერ ბურანში ცა ქვრივის მანდილს მაგონებს. **47**

ახლა კი მოუსავლეთში გავგ ზავნი რქიან დესპანებს,
ფორთოხლის ბალში მოვუსმენ გიტარით ხელში ესპანელს,

მე ვჯადოვდები, ვდუმდები! მათრობს მუსიკა ლორკასი,
ორივე ამოვიცანი: ლომისსახა და ლომკაცი.

ვკვდები და ვილტვი ფრენისკენ, კანკალით და გაგიუებით
და ექვს კვირაში საკუთარ ორმოცზე გეპატიუებით.

ავი შერჩება არავის

16.08.2015.

ავი შერჩება არავის, ღმერთს არ აღელვებს, რა გიდევს
ბანკში და გიდგას კარავი, თუ იგებ სახლ-პირამიდებს.

ბოლო ყველასთვის ის არი, რასაც წასვლამდე დათესავს,
ერგება ოთხი ფიცარი თეთრის და შავის ნათესავს.

ყოფა სიკეთეს დამაჩვევს, ავს კი ეცლება ბარაქა...
ჩვენს გაჩენამდე მამაჩვენს უფალი ელაპარაკა.

შემოანგრია კარები გრიგალმა თავის ქალაში,
მკვლელ აზრებს არ ვეკარები, მიამიტი და ხალასი.

ღამეს ღმუილი აფუჭებს, აღწევს რომელიც გარედან,
გზებზე ვაფენდი ტყაპუჭებს, დაბლა ჩარბოდა კარეტა.

წივილის წინვებს ვეძახი, გვერდზე გაშლილი წიგნია,
სადაც მწიფი ტკბობის ვენახი, ტკბილისთვის ვერ მიმიგნია.

მე ალარასდროს შევიტან თავში სიცოცხლის ნდობას და
წვალებით ავალ ხევიდან ფეხით გათელილ გრძნობასთან...

მინდა, ვეფერო დაგლეჯილ გულთა მდუმარე იმედებს
და კაცთა სისაძაგლეში სათრევად ყოფა მიმეტებს...

48

არა!... ვერასდროს ვიქწები სრულფასოვნების ნიშანი,
მელის სიცრუის ჯიქწები და კბილთა ღრჯენა მგლისანი!

ცივი მზე

30.08.2015.

იწერებოდა ზემოდან ჩემთვის შავ-თეთრი სცენარი,
ჩემი ცხოვრება ვანგრიე, მკაცრი და მოუსვენარი.

დნებოდა მკერდში ვულკანი და დუღდა, როგორც რეზინა,
მომიხტა ქარი და ბრაზით ღრუბლები დამაკეცინა.

ხშირად მქონია ხელები მძიმე, უღონო და სველი,
ახლა ალარც გზას ვადგავარ, მე ახლა სტუმრად გზას ველი!

მიყვარს ცივი მზე, ან შავი თოვლი და რიცხვი ცამეტი,
დაუსრულებლად ვხალისობ ღამეთი, მოკამკამეთი,

ჩემთვის რძისფერიც გიშერობს, თვითონ ყორანიც თეთრია,
ვინც მერიდება, იმაზე უცნობი არ შემხვედრია,

ცნობილთა ძმობას გავურბი: მე ამის ღირსი არა ვარ...
თუ არ ვუყვარვარ, დე, გაყვეს მავანი ქართა ქარავანს,

ფესვებამოყრილ ბერმუხებს არ მსურს, ფესვები დავაჭრა,
არ მინდა, ვინმეს აძლობდეს მწირთა გონებით ნავაჭრი!

რას ვაქნევ ბალის არალირს, ღიპიან ყრუთა ანაგებ
სასახლეს... მენდეთ, ღატაკი, ლექსებით გავაჩანაგებ!

საუფლო ციხესიმაგრე

26.08.2015.

მთაში მივდივარ! მზისოდენ სითბოს ვიპოვი მთაში მე,
მინდა, მთის სუნთქვა ვიცოდე და ვერც ქარაფი მაშინებს.

49

ცოცხლდება ქვათა ღალადი. ფილტვებდამსკდარი რატო ქრის
იალალების ნახატი – სიო, ბუნება-ჯადოქრის?

მიტაცებს კლდეთა ფრიალო და მაცოცხლებენ რუები,
მინდა, რომ დავიღრიალო, რომ ვეღარ შევეგუები

ქალაქთა ფანდებს, უდიდესს – ვანგრიოთ სულის სახლები...
(მთის კესანებს, თუ ტიტებს საკრეფად მივეახლები)

აქ ბალახია ჩემი და, ბალახი როგორ გავთელო?
მესტუმრე ღრუბლის გემიდან, ჩამოდი, წმინდა სანთელო!

საღამო მარეტიანებს, რბიან ჭიუხზე ჯიხვები,
უმძიმესზარებიანი ტაძრისკენ ბილიკს მივყვები.

მთამ ყველა ავი ალაგმა და თითქოს ჯვარზე მიმაკრეს...
რა უნდა მისცეს ქალაქმა საუფლო ციხესიმაგრეს?...

თითები პნელში

21.05.2015.

ბნელში თითები დარბიან, ტანში ტიროდნენ ზვირთები, ფხიზელი თვალი ხარბია, მტრის ტოტემისთვის ვძვირდები.

ასევე ვძვირობ ამავე ხალხის ლაყაფის თემაში, ბინძური ხმები მშხამავენ და შორს გავრბივარ მე მაშინ.

უცებ, გარშემო ინათა; წერს სიბნელეში მარკესი, თავი ვიცანი რკინათა აელვარებულ სარკეში.

სულ ზუზუნებენ სკები და ნეტავ, მომავალს ვნახავდე... როგორ ვმაღლდები მეფიდან მეუდაბნოე გლახამდე.

50

თილისმა

14.02.2015.

ქარია ჩემი კარგი ძმა, გრიგალთან დავდე ფიცი და ამ დროს ყვითელმა ნარგიზმა თავი ამოყო მიწიდან.

წვიმის წვეთია ჩემი და, ამ დროს ვერც ბნელი მიშვილებს; ამ დროს სტუმარი თემიდა მილოცავს დედმამიშვილებს.

რა თეატრია ეპოქა: მგლის ტყავში ცხვრები ბლავიან, მინდოდა ის გზა მეპოხა, რომელიც მუდამ შავია.

დავიწყე აწყვეტილი სმა, უფრო, ღრეობა არამედ, ჩვენ, პოეტებმა, თილისმა თეთრ ველზე გავაწკვარამეთ.

ბურუსი იდგა ჭიქათა, რირაჟმა მომცა ნიშანი, კალამმა იბარიკადა, წერაში შვება ვიცანი.

მსხვერპლი ვარ ენით მეძავთა: როლი მაქვს ლექსის ყასაბის, მოწყენილობა მლენავდა, მესმოდა მუსიკასავით სიჩუმე...

გონიერის ოპერატორი

16.01.2015.

ცარიელი ვარ გზასავით, არასდროს რომ არ დადიან,
მე ვარ შავ-თეთრის ნაზავი და შავი მუზის გადია.

მთვარემ ნაღველი აკურთხა, ბნელია მისი ტიტული...
მას აქვს ნიკაპი სამკუთხა და შუბლი ნეფერტიტული.

ყველგან, ყოველთვის მთვარეა!... მე ის სიყვითლეს მიმატებს,
ვერ გავცდი სევდის არეალს და ქაჯებს, ენა კვიმატებს.

ბოლომდე დავცლი ფიალებს, მოვწევ სიგიჟის სიგარეტს,
წყვდიადი დამილრიალებს და თვალში თვალს გამიტარებს.

დაბლა ეყარნენ ქუდები, წინ სისხლით სავსე თასია...
მჭირდება გადაუდები გონების ოპერაცია.

51

სწორ ცხედარში

02.01.2015.

სწორ ცხედარში ჩახმა ხმა, სიკვდილი გახდა ბალვაში...
დიდხანს მიყურა ჩახმახმა ურჩი სიცოცხლის ზრახვაში.

კვლავ მარტოობას ვებრძვი მე, თუმცა, ვერ ვითვლი ძმებს და დებს,
ხვალ მლიქვნელობა ფეხმძიმე მინაზე ველურ ხმებს დადებს.

გული ისეა მძაფრი და ისე ხტის, როგორც კალია,
მე აქ მოვედი ზლაპრიდან, იმდენი მიგრიგალია.

უდასასრულო ჯავრით მე ვასკდები ბოლმა ქარაფებს,
მთელი პლანეტა გავრითმე, სარითმად დავრჩი არაფერს!

იქნებ, მე დამრჩა სარითმად ოლიმპო ყველა ყვავილის,
რომ ცას დასცვივდეს მკვდარი თმა, მუდამ არ მჩხვლეტდეს ჩხავილი!

ვარ უიმედო: უბეში დაფუთფუთებენ მატლები...
მე ვარ ლოდივით უხეში და ბნელით მოვინათლები.

მინათმოქმედის სიგლერა

18.06.2014.

ვარ მარტო. იყო სამხრეთი განათებული მზესავით,
მეხრე ვარ, ხელში სახრეთი, ტკბილი სიმღერის მთესავი.

ზემოდან გზავნის ელია წვიმაშხაპუნას უხვადა,
გარშემო ვრცელი ველია, ბაბუს ასე რომ უყვარდა.

კარგია მიწა: დათესავ, აბრუნებს ათმაგ მოსავალს,
არ ტოვებს თავის ნათესავს მშიერს და შეუმოსავად.

ბოლომდე გასწი გუთანო, მამუშავე და მაცხოვრე,
ჩემს ოჯახს რომ მივუტანო სისხლი და ხორცი მაცხოვრის.

52

აქ სული ხორცზე ჭარბია! მიწაა ჩემი წიგნები,
ყველანი ქალაქს გარბიან, მე – მიწის მუშა ვიქნები.

ფრენა

06.08.2011.

ამბავი: კლდე, სანაპირო, ზღვა, დინება, მეჩეთები,
მინდა, ფრთები ვანადირო და მღვიმესთან შევჩერდები.

ირეკლება მზე, დინება, ზეიმია ნარ-ეკალთა,
მე ქვიშაზე მეძინება, ვიდრე ზარი დარეკავდა.

უბილწესი წესი წივის, ჩემს კონვერტში უარია,
არ მსურს გემო მე სიცივის, იქ ცრემლებიც თუ არიან!

ამოვედი მე ნავიდან, დავახალე ჭიქა ნავებს,
არ მსურს ფორთხვა, ფრენა მინდა: სული ცაში იქანავებს.

პრიალა მცვანე

18.01.015.

ცრემლებით გრძელი ვნამე გზა, ნაძვების სუნი ვადიდე, იქსოს სისხლი დამექცა, ცაც ბრუნავს, როგორც სათითე.

ჩუმად მიმზერენ ჭადრები, მე კი ვუმზერდი არწივებს (არასდროს დავიჩაგრებით, თუ ვერცხლი ვერ გვამარტივებს!)

თავს ვეუბნები მეასედ (დაავიწყდება განა ვის?)
მკვდრეთით აღმადგენს მე ასე კრიალა მწვანე მანავის!

სიგიშის ლოგო

23.07.2015.

სპაზმები მიგლეჯენ ძარღვებს, მერცხლები ნერვების ძაფებს 53
ძაბავენ, სიო კი არღვევს პენუარს, მკლავებზე ნაფენს.

თავშალი იშლება სუფრად, მახვილად კალამი ვიძრე,
მე შუქთან ვიყავი უბრად, სიბნელე დამღლიდა ვიდრე.

ძილისას დამარტყა მეხმა, შეკონილ, გრძელ ლურსმნებს ვზიდავ,
ლანვებზე მდინარე შეხმა, მომსკდარი ლრმულების გზიდან.

გზა, მიღმა ხილულის, ვკვალე... ყელზე მომეგრაგნა ლოგო
სიგიჟის და მინდა მალე, ხარივით, მარილი ვლოკო.

ჩემს ზურგზე დახტოდა სახრე (ეს სცენა იცოდეს ზოგმა...)
ბებერ წიგნს კლანჭები ვახლე და დავგმე სიკვდილის დოგმა.

ავიგე ნემსების ხიდი, ქვევიდან უფსკრული მეძებს...
სამოთხის ადგილზე ვყიდი ჩემს თვალებს, მღვრიეს და ბეცებს.

შემლილი მრევლი

04.01.2015.

ყვითელი ფოთლების შრიალს დასდევდა ნიავი მშვიდი.
მინდორში რომავდა შვრია, თეთრ ღრუბელს ხალიჩად ვშლიდი.

გადაიხარხა ჯაზმა, მინდოდეს ჩარჩოში ნეტავ
ისეთი ნახატის ჩასმა, მხოლოდ მე რომელსაც ვხედავ.

მე მთელი ცხოვრება ვზიდავ ამ უბით გველების სისინს,
დაუ, გადავიდეს ვზიდან შავი შურისგების ფიცი.

თავს მესხმის შეშლილი მრევლი, მხვდება გაბზარული ჯვარცმა,
ნაანგელოზარი მწყევლის, მიპოვა დემონის არსმა.

კვლავ ფეხქვეშ მემსხვრევა ხიდი, მშია და ქუჩაში ღამით
ჩემს ლექსებს გროშებად ვყიდი, რომ კვლავ შევიძინო შხამი...

54

ბუები მასხედან მხარზე, ქვეყანა გამხდარა ბურთი...
ილბალი იმდენი ვთარსე, რომ მხოლოდ საჯიჯვნად ვსურდი.

სიკვდილის მდინარე

15.06.2015.

სადაც ჩანს ხეობა ცხედრების, წარლვნიდან ერთი დღის მერე,
ჩამოდის ღრენით და ყვედრებით სიკვდილის მდინარე – ვერე.

იგი არ ისვენებს, უძლები, ჯერ გუშინ მშვიდი და კოხტა,
შეჩერდა, დატოვა უწყება მოხუცი მეზღაპრის ქოხთან.

ჩაყლაპა რამდენი გოგო და რამდენი ვაჟკაცი ჭამა...
ის არის ქართველთა გოლგოთა, ის არის ქართველთა დრამა.

დაახრჩო რამდენი კაცი და დაახრჩო რამდენი მხეცი,
ცრემლები ზეცაში აზიდა, ცრემლები წვიმაა ზეცის.

უჯიშო ტალღები დარბიან, ლენავენ გარშემო ყოველს...
სიკვდილის მდინარე ხარბია: მიდის და ნანგრევებს ტოვებს.

დღეს მე ვიტანჯები, რადგან ყველა გრძნობას ვდევნი ავს,
დღეს ჩემს წინ სიკვდილი დადგა, სულში მარტოობა მყავს....

სიცოცხლევ, სადა ხარ ახლა, თამამად ვერ გარქმევ ჩემს,
სულ მაღლა, ღრუბლების მაღლა, ვხედავ მოკაშკაშე გემს!

სხივო, გაიჭერი ველად, შენთან გამოვყვები ქარს,
მომეცი, მომეცი შველა, ნულარ მომიხურავ კარს!

ცაში ამიტაცე მე და ფრთები დამაფარე მზის,
მზეო, იყავ ჩემი დედა, დაჩოქილს ცრემლები მდის!

მიხსენი! ჩემი ხსნა მხოლოდ შენ, შენ შეგიძლია დღეს,
გიყვარდე!... სიცოცხლის ბოლოს რომ მაინც შევხედო მზეს!

55

უიღბლო სიცოცხლე მერგო, ჩემი მარტოობა მძულს,
სად ხარ სიყვარულის ნერგო, სიტკბოდ მოეფინე სულს!

პოცნის პოცონი

04.10.2014.

წიოდა წითელი წიოკი, ვერევი ვირების ჯგროში,
უდაბნოს ყვითელი სიო კი გახდა გახვრეტილი გროში.

თვალებით ვხატავდი ტაიგებს, კოცნაში კოცონი ინთო,
მაინც ველარავინ გაიგებს, ლანდები დაბადე ბინდო!

კეთრივით ჭკნებოდა სიკეთე, ბახალამ ჩამძახა: "კენტო!"
შხამისგან ცხელ ვახშამს ვიკეთებ, შანდალში შიშხინი ენთო.

ვისროდი მთვარისკენ ქამანდებს, მაგრამ დამეღალა მაჯა...
და ისევ კელაპტრად ამანთებს ლამის სივრცეების ღრმა ჭა.

ուժում եմառ ցոնդա, մեջերո լյեսո,
մոռշ նաօլոր հյեմ ցընո (տոյ րաց արո)
ზամտրուս սոտծոց ճա ზագեցուլքի յարուլյեսո,
առ մապարո տվալմի մեռլուգ պրոյ նացարո,

րագան ոյ եար, սագաց սյուլո յմիյեսոա,
ոյ ոյմեցօ, ոյ օթրգեցօ, մարեցօ,
սագաց մտյացըլս մեռլուգ մագլո յտյեսոա,
ռյեանյե յերտգեցօ ոմ արեցօտ,

Տոյեամ րոմ ցայպանա ագրուանո
ցըմո-աթրուս, մոմցա բաեցո ճա բություլո
սակյուտարո արսեցօնօ! ագրուալյ
դրոմա, եվալուս մեցերալյեցօ անօւժուլո!

56

մոմաեցըդրա ճացգեցնուլմա դյուուս ծյժմա
– եցլույմելո առ ցըյա ծյուրցնո դյուուս մոնոնուս,
մոնդա մկալյելո մարգուոնօնս դոնցուս ծյժմա,
մարգուոնօնս յը սյուրցուլո, զեցազ, ուցուս,

մացրամ մանց առ մանցեցնս յլանժեցնս մորիուլ
մոնաս, մուգամ պայլցան ճամցուս սանագուրուգ
յումեցուգ ցաշրօն մուցան ծազ մոնդորմո
ճա մեժլյեցնս տվալնոն ցրցուլո սանապուրո

ճա ցիւրցեցօ! մուցցայունոնս լամե-բալլա,
աելլա տացնո ցագամուլուս, զուցո, րագան
տացմո նուլուս եցուանո ամեցալյա
ճա ցտանեմցեցօ, րոմ նացուց արսագ մատցան.

გამიგია: რად უნდაო მონას ჭერი,
ან ურწმუნოს სამყოფელად მონასტერი,

ვფიქრობ, ყველას უნდა ღმერთის მონაგარი,
მას კი უფრო, ვინც კი მონის მონად არი.

ჩემო თავო, თუკი ყვავილს არ მიიტან
მტრის საფლავზე, შენ ხარ ბრმათა არმიიდან...

თვითონ სასტიკს მიტევება მოგელის კი,
თუ შენდობას არ დაუდგი ობელისკი?

ჩემთან ყველა და ყოველი ტიტანია,
მე კი მელის შინაგანი ლიტანია,

57

გავსიზმარდი: ასე მაღლა რად ავედი?
ვარ დაბმული სულიწმინდის სადავეთი,

მაშინ, როცა ამას ამბობს ჩემი ბაგე,
თუ არ ამბობს, მე პასუხი უკვე ვაგე,

იმითი, რომ ჯოჯოხეთში უკვე ვარ და
ჩემს მომავალს დაეფარა ცეცხლის ფარდა,

ნინ მხვდებიან ალაყაფის მკეტავები,
მე კი ვყეფ და მათ ამაოდ ვედავები,

რომ მეკუთვნის მოსვენება... ნინ მაქვს ველი
და სამართალს საზვერები უხმოდ ველი.

მთა ათონზე

27.03.2015.

მთა ათონზე, სავანეში დოქიარის,
მონასტერთან ერთი მცირე ხევი არის
(იქ, წყაროსთან, სტუმრებისთვის, დოქი არის)
მე იქ სულის მოსათქმელად შევიარე.

და მიიპყრეს ყურადღება ჩემი ხეზე
დაკანი ულმა სევდიანმა ნახატებმა,
იქ ენერა: "საქართველო არის ესე,
საქართველომ სიბრძელესთან ნახა შებმა,
რომ გაბრწყინდეს"...

ფერხული

26.05.2013.

58

შორს არიან, წერეთელი, ილია და
ჰომეროსი, ელადა და ილიადა.

მე რითმების თეთრ ფერხულში ჩავები და
შემოვიცვი ჩოხა ნისლის შავებიდან.

სალამოა, ჩავალ წითელ მდინარეზე,
რომ ვიპოვო მდინარეში მძინარე მზე,

უდარდელი, როგორც ყოფა უიგოლოსი,
კოჭლი, როგორც სხვა მინაზე ნიკოლოზი.

ნეტავ, წითელ მდინარეზე შემახიდა
და მტევნებიც არ გამექცნენ ვენახიდან...

წადით, მაგრამ დამიტოვეთ სამარიდან
მავალი მზე, სიბრძელეს რომ ამარიდა.

Ե՞տ, ჩեմո լուսարկեած իսեց լուսամուշիա...
շաճազդցո նոն հեմո նաձոյցո, օրոնծո
գա ըստորոշ պատրակութիւնու համապատասխան,
մասնաբան նաձութիւն մուտքաբան գործոցո.

մասնաբան նաձութիւն սակառական վայրէնու,
պատրակութիւն լուսամուշիա, մալուսամուշիա,
մուտքաբան լուսամուշիա, լուսամուշիա,
կամաց գործաբան գործոցո մասնաբան նաձութիւն.

Ի՞նչ գործաբան գործոցո մասնաբան մասնաբան,
ո՞ւ առաջ գործաբան գործոցո մասնաբան?
Վոն առաջ մասնաբան նաձութիւն, վոն առաջ,
ան վոն մուտքաբան հեմո ձութիւն?

59

առ առաջ, առ առաջ, առ առաջ առաջուն,
նույնական սակառական մուտքաբան մասնաբան,
սարկութան մուտքաբան սակառական
գա հեմու ծալս կուպոնու կուպոնու մասնաբան.

Մասնաբան պատրակութիւն լուսամուշիա,
գործաբան մասնաբան լուսամուշիա, լուսամուշիա,
պատրակութիւն լուսամուշիա, լուսամուշիա,
պատրակութիւն լուսամուշիա, լուսամուշիա.

Սահմանու լուսամուշիա մասնաբան առաջ,
առաջ մասնաբան լուսամուշիա մասնաբան առաջ,
սահմանու լուսամուշիա մասնաբան առաջ,
գա մարած սակառական լուսամուշիա մասնաբան.

სტიქარი

25.08.2014.

ნაპირები ოკეანის. იყო ნისლი,
დგას ყვითელი ნომბერი, ქარი ბლავის,
ფერადდება სივრცე, ფიქრი სხვა ფიქრს მიშლის,
შრიალებდა ჭალა, როგორც ყანა ჭვავის.

მზეს ვხატავდი კლდის და წყაროს რომანიდან
(ჩემს საწოლზე დაკეცილი სტიქარია)
ანარეკლმა თვალი ვეღარ მომარიდა,
რა ხანია, თითქმის აღარ მიხარია...

აქ მოტანილს მედავება ხისტი ქარი,
ნაპირები ოკეანის... მოჩანს გემი...
დაღუმებულს მაგონდება ის სტიქარი,
სამოსელი უნდა გახდეს რადგან ჩემი.

60

ეს სიყვითლე ჩემში ისე ხისტი არი,
ფერიც აღარ რჩება მთვარეს მიმოზების...
მაგონდება მაგრამ: მე ვარ ქრისტიანი
და სტიქარით უცებ გადავიმოსები.

გელი და სურათი

21.07.2015.

სივრცე აინთება თეთრი საკურათი
(ბოლმა განთიადი მგლების მჭამელია)
მოჩანს ჰორიზონტი ბნელი და სურათი,
სადაც უპირობოდ ყვავის კამელია.

ხორხში ხრიალებენ მუავე კაუჭები,
ანთია კბილები – რკინის მკვნეტავები,
ისევ ბნელ ტალანებს ჩავებლაუჭები,
სადაც მკვლელ ქოფაკებს კალმით ვედავები.

დღეა მოსაწყენი, ღამე – ლოდებია,
თავში მოსვენება ვეღარ დაატია

ეჭვმა და ხანჯლებიც დამელოდებიან,
ვიდრე სისხლჩქერების პიკის საათია.

მებრძვის მოფართხალე ჭრაქის არითმია,
ვებრძვი ყელგამოჭრილ იღბლის მატიანეს,
ვერცხლი, ნაძირლებო, თქვენთვის დამითმია,
მე კი, იუდური, ფიქრიც მაზიანებს!....

კლდის კიდეზე

20.12.2014.

თითქოს ვკვდები, გულში რაღაც მტკივა ხმები,
ნეტავ, რას გრძნობს ავი ქვეყნის მიმართ ლეში,
უკაცრიელ კლდის კიდეზე მივახმები,
გავმართლდები მკაცრი სივრცის სიმართლეში,

ჩამოვლამდი ულიმლამო დაისიდან,
დაბლა მტრედთა ორიანცელი ჩაიზიდა.

61

ვერტიკალურ დერეფანში მივქრი – ცაში,
მიყვარს ჟამი – საუკუნის მესამედი,
ხმაგაბმულად ზანზარებენ ყრუ და ჯაზი,
ძლიერ მიყვარს კიდევ რიცხვი მე ცამეტი.

(ისე მიყვარს რაც მე მიყვარს, ხაზის გასმა,
მომიტევებს ჯამაათი, რომ თქვას კაცმა)

24.09.2015.

მე არასდროს ვლაპარაკობ პირდაპირ და ბოლომდის,
ჩამწვდეს, ვისაც შეუძლია, მომისმინოს ერთხელ!
გავრბი: როგორ ავიტანო გულგესლა და ბოროტი,
ანდა, როგორ დავემონო მრუდე სიტყვის კვერთხებს?!

აღდგომა

05.12.2011.

(სალომეს)

მე მოვდივარ, მე მოვდივარ შენსკენ, შენსკენ!
შევჩერდები, მე მომისნრებს თუ დაისი,
შევჩერდები, თუ მიმიღებს ქუთაისი
და შეგიქმნი სტრიქონებით უკვდავ ფრესკებს.

სამყაროსთან დავანგრიე ძველი ხიდი,
ვერა, ვერცხლით ამ ცხოვრებას ვერ იყიდი.

მხოლოდ გულებს, გულებს თბილებს და სათუთებს,
შეუძლიათ აღმადგინონ თურმე მკვდრეთით,
ვარ მოცული სიყვარულის ტყით და ღრეთი,
ვკოცნი ხელებს, ხელებს, გულში ჩასახუტებს,

62 ვეტრფი თვალებს, მოთვალთვალეს ჩუმად, ღამით
და პოეტის სიყვარულის მოდის ჟამი.

მხოლოდ ახლა დავინახავ ტბაზე გედებს,
ცარიელი იყო იგი, დღემდე, ჩემო,
ახლა შენი სურნელება დგას გარშემო,
ვხედავ, ღმერთი უდაბნოსთვის არ მიმეტებს;

უდაბნოა ყველგან, სადაც არ ხარ, არ ხარ...
სადაც გული მარტოობით დაიმარხა.

ედუმარებაში

26.04.2013.

დავკრეფ ალიონზე წამებულ მენამულს
და ღამით მოვუსმენ ქარიშხლის ბლავილს,
ენამოს, ენამოს პოეტი, ენამოს,
იტვირთოს ლექსისთვის ცხოვრება შავი.

მე თვალებს, გახელილს, ლექსმა ამარიდა,
თვალებდახუჭული უხილავს ვხედავ,

ფრთებით ამოვედი ბნელი სამარიდან,
ფრთებით დამაბრუნა საფლავში, ხეტავ.

როდის აიგება სადმე ჩემი ჭერი,
ვერ ვრჩები ვერც ნოეს აგებულ ნავში...
და ისევ ხილულის მიღმა შევიჭერი
დიდი, დარდიანი, მდუმარე ბავშვი.

ფიქრი-მტრედი

07.02.2011.

სიცოცხლის ჭიშკრიდან სიმღერა მოისმის,
სახეზე რიურაჟის მშვიდი ფიქრებია,
ქრებიან ნიშნები ლვარძლის, ეგოიზმის,
ეჭვები სიკვდილზეც სწრაფად მიქრებიან.

63

მინდორში, ხის ძირში ვიწექი გლეხურად
(ეს ფიქრი მტრედია, ის ჩემს სულს არ ავნებს)
თავზე დედამიწის მშვიდობა მეხურა,
ჩუმად მივყვებოდი მტრედების ქარავნებს.

მე გვერდით ვედექი ფიქრს, ხმაზე ალესილს,
როგორც ძულომს გვერდით ძლიერი მამრი ყავს,
ვნატრობდი მწვერვალებს ბავშვობის ალერსის,
ვიცი, ჩემი ფიქრი ფიქრს მიღმა გამრიყავს!

მირაჟს აჩრდილები ისევ ედებიან
ფიქრებს სიცოცხლეზე თავიდან ვეჩვევი...
უფსკრულში ნაფრენი თეთრი მტრედებია
ცაში ატყორცნილი არყოფნის ეჭვები!...

სიცოცხლის კარიდან ბავშვის ექო ისმის,
მოხიბლულს მე თავი სიზმარში მგონია...
ჭკნება სარეველა მტრობის, ეგოიზმის
და მიღმა სიკვდილის, უკრავს სიმფონია.

სიღრმე არწივის ფრთის

24.10.2014.

სიღრმე არწივის ფრთის, აწივის წითელ წამს,
ძარღვში ჩანჩქერი თრთის, სხვა არაფერი მწამს.

მე ვერაფერი მღლის, მხოლოდ სიმშვიდე მკლავს,
იქ, სადაც ესმის მგლის ღრენა დაკარგულ კრავს.

მე ფეხებიდან მჭამს ტვინში ასული ხმა,
ლამეთა აჯამ ჯამს ზღვა აჯანჯლარებს ღრმა.

მეც ჩამითრია ჭამ, სიო სახეში მცემს
და უბოლოოდ ვჭამ წილ პოეზიას ჩემს.

64

პეპერი კლდე

30.04.2014.

ბებერი კლდე მარტოხელა კაცს გავს ალბათ,
თითქოს კაცთა მოდგმისაგან გარიყეს,
მის წიაღში სიხარულის ფესვი დალპა,
იგი არ ცნობს ღიმილიან თარიღებს.

გვერდს უვლიან, ერიდება ყველა სქესი,
ყველას უნდა, უყურებდეს შორიდან...
(მადონას ქმნის ჭრელ მოლპერტზე ველასკესი,
ფლოქვებით თხრის მიწას იქვე კორიდა.

ქვასაც ხეთქავს ბებერი კლდის ცოდვა, თუ ის
რაღაცით გავს ეშმაკებით შეპყრობილ
კაცს, რომელიც საუბარის ნაცვლად, ყმუის
და რომელსაც აგდებულად ვეპყრობით.

მე მინდა, მოგიყვეთ უბრალო ამბავი,
რომელსაც პოეტის ცხოვრება ქმნის
(ვეცადე, მესწავლა ლექსების ანბანი,
ვეცადე, მესწავლა ფერებში მზის)
მე ვხედავ მის ხსოვნას ცრემლებში განბანილს,
მე ვხედავ დასაწყისს მომავლის გზის.

(ცხოვრობდა ერთ-ერთი უბრალო პოეტი,
ის იყო უბრალო, დაბალი წრის,
გრძნობდა გადარჩენას ახალი ნოეთი
(ახლაც გადარჩენის ის ქარი ქრის,
რომელიც დაქროდა მე როცა მოვედი,
ანუ, რომ წავედი მზერიდან მტრის)

65

მაგრამ ის წავიდა... რა მოხდა, წავიდა,
არავინ არ არის ზემყოფი ღვთის,
სიკვდილს სად წაუვალთ, დათესილს ავიდან,
წარმოქმნილს ევას და ცნობადის ხის,
ბოლოს ეს მოასწრო: „მკვდარიც ვერ ავიტან
თქვენგან დავიწყებას, გახსოვდეთ, please“.

იყო ლირიული, ნაზი პოეზია,
იყო გაოგნებაც – თვალები მგლის,
ლექსებს უამრავი ფერი მოესია,
თეთრი, ლურჯი, შავი – ჩამოთვლაც მღლის,
მაგრამ მისი ხსოვნა უსათნოესია,
გახსოვდეთ, გახსოვდეთ, გახსოვდეთ, please.

აღდგომა

10.08.2011.

დავდივარ წარსულში.

დალენილ ნამსხვრევებს ვაგროვებ სინათლის სარკის,
ვიბრძვი და ვეცემი,

ვდგები და მივდივარ, სიკვდილს მოვუხადე ხარკი.

მწიფს გულში აღდგომა,
ახალი სიცოცხლის იდეა, ვხალისობ, ვმლერი,
ცხოვრება მიმოდის,
ფერები მიმოზის და მზეთა სიცოცხლის ფერი.

გარშემო არავინ

16.12.2014.

66

დავდივარ ქუჩაში. გარშემო არავინ,

გარშემო არავინ, მხოლოდ აგონია!

ვგრძნობ, რომ გულის ნაცვლად, კლდეა შემზარავი
და ჩემი კალამიც ეშმის ნაქონია...

ყველგან დარაზული გულის ჭიშკარია,
ფეხქვეშ მემსხვრევიან მე კიბე-ხიდები,
ჩემი იმედებიც შორს-შორს იჩქარიან,
ჩემი გვირგვინისთვის ეკლებს ვეზიდები.

მოკვდა, რაც მიყვარდა! ცოცხლდება გველი და
სისინებს კოცონი კისერში ძარღვიან,
სიმწვანე გამირბის ბურუსის ველიდან,
ტკივილმა სიმშვიდის სავანე არღვია!

თვალი მეხუჭება: მე მეჩვლეტენ ეკლები.
ქუჩაში რიჟრაჟი ამართლებს მოლოდინს,
მიღმა გისოსების, სტიგმად ვირეკლები
და ვიცი: ასეთი დავრჩები ბოლომდის.

სიკვდილის მნერვალები 23.04.2011.

თავს ცოცხალ არსებად ასაღებ
ზვიად და კანკალი აგიტანს,
ეძებდი სიცოცხლის გასაღებს
და გავხარ უძირო ხომალდის კაპიტანს.

შენს მოდგმას ადარებ ნადირებს,
წმინდანებს – აკლდამის ბინადრებს,
ცივ სახეს ყინული ატირებს
და შენი საფლავის აურა გინატრებს.

ზურგს მაქცევს ყველა და ყოველი,
სულია მოცული სიცივით...
მე მალე აღდგომას მოველი
და ქრება ყოველი, ლამაზის ფიცივით.

67

დაქრიან ფოთლები ყვითელი,
როგორ გავს სიკვდილის მწერვალებს...
ზვიად, დავიწყებას ვით ელი:
შენს უკან, სარკეში, სასმისი ელვარებს.

ზღვის ცეკვა 27.08.2012.

მიწაზე სამნი ვართ: მე, მზე და ზღვა,
მზე, ზღვა და მე, არავინ სხვა.
დილის მზე თბილ სხივებს ტალღებზე ღლის,
ზღვას ფერი აქვს ლალის, მზეს – ფერი ბლის.
ისაა გარეთ და ისაა შინ,
არ მახსოვს, რისთვის ვარ, სად ვარ და ვინ.
ეცეკვა ზღვა ლამეს, არც რამე თქვა,
ვით მკაცრი და ცივი საფლავის ქვა.
შენ, ზღვაო, ჩემს სულში ლურჯ ტალღებს ფენ,
სამნი ვართ ამქვეყნად – მზე, მე და შენ!

სიგლერა ყვავილის

10.02.2014.

(სალომეს)

ვიპოვე. ემოსა მინდვრების ნისლი და
მოქონდა სიმღერა ყვავილის,
ვიდრე განთიადი დალალებს იშლიდა,
გაქრა შუალამის ჩხავილი.

მე ვარ ანგელოზის არსების მოკეთე,
თვალებში ბურუსი მეყარა...
წვიმებმა დუმილის კარი შემოკეტეს
(ახლა კი ჩვენია ქვეყანა!)

მე ვხედავ ვარსკვლავებს და ორ თავს ბალიშზე
და მოდის ხალისი მარადი,
მე ლოცვის სუნთქვით და სითბოთი ავივსე,
ავივსე სიკვდილის კარამდის.

68

ვერავინ ვიპოვე, დავდივარ შარაზე,
ვაცურე გუბეში ტივები,
მე ბევრი ვიცხოვრე, ხან ისე, ხან ასე,
ხან თითქმის სიკვდილსაც მივები,

მაგრამ მიფარავდა ლმერთი და განგება,
იმედი, მბჟუტავი იმედი,
ისევ სიყვარული იღვრება ჰანგებად
და ისევ წალკოტთან მივედი.

ისევ ჩემში იდგამს გრძელ ფესვებს ბუნება,
გავფანტე მინდორში ნისლები,
ისევ შენი სითბო მომესალბუნება,
მარადი სევდისგან ვიცლები.

სიზმარში ვუყურებ კვლავ ორ თავს ბალიშზე,
კაბადონს მივაპყრე შუბლი და
კვლავ ამოუცნობი სითბოთი ავივსე:
ეშვები წითელი ღრუბლიდან.

დასანახის მიღმა დავინახე მე ძმა,
ჰალუცინაციურ მოლანდებებს ვეპრძვი.
სიკვდილამდე მინდა ჯოჯოხეთის შექმა,
რომ დავგრაგნო მუხლზე ბოროტების ღერძი.

რატომ უნდა ვიყო ყინულების მიღმა,
ან როდემდე ვთვალო ვარსკვლავური ხმები?
დასანახის მიღმა დამაკავა ჩიხმა,
მე სიახლის წყარო მინდა, უკვე ვხმები!

ირგვლივ კედლებს ერთი გამოხედვით ვლენავ,
პარანორმალური, ღრმა ხილვები მიტევს...
ჩემს საფლავზე შუქი როდის მოვა, ნეტავ,
ან ვინ დარგავს ხრიოკ ნიადაგში ტიტებს?

69

ლვარცოფი

15.06.2015.

ლვარცოფი მოდის და ლვარცოფი ლრიალებს,
ისმოდა ქალაქის ყეფა,
გულგრილი სიკვდილი ივსებდა ფიალებს,
მოქონდა დამხრჩალთა წყება.

სიკვდილო, ნუ იბან მაგ ხელებს, უჯიშოვ,
გული დაიბანე მხოლოდ,
ხალხს ღამით თავს ესხმი და ხიდებს უთიშავ,
რომ ირგვლივ სიცოცხლე ქოლო.

ნერევა და დახრჩობა, წყვიადის წივილი
და სასაკლაორა მხეცთა...
ლამე წანწალებდა კოჭლი არწივივით
და დილა ჭკუაზე შეცდა.

რადგან მხოლოდ სიძულვილი მძულს,
მე ვერც მტრები შემიცვლიან სულს.

მოსავალის სიუხვეა წელს,
ჰოდა, ითრევს შემოდგომა წელს.

რა კამკამა წყალი მომცა ჭამ,
მე კი ვზივარ და ტაეპებს ვდგამ.

სიდუხჭირე ისე მითხრის ძირს,
რომ მგონია, ყოფნა აღარ ღირს.

რომ გავფრინდე? მე ვინ მომცემს ფრთებს...
ირგვლივ სულ თოვს, მაგრამ ველარ დებს.

70

ან გაფრენით გავაკვირვებ ვის?
მუდამ ხალხის გულგრილობა მსჯის...

მჯერა, არ დამივიწყებენ არ,
გაღვიძების მოლოდინში ვარ.

ამ ქვეყნისთვის ვერ ვივარგე ჯერ:
სხვა პლანეტის მკითხველისთვის ვწერ.

აქაც ღმერთი, იქაც ღმერთი არს,
სულს სიმაღლე, გამარჯვება ჯარს!

მე კი მიწის წვრილმანები მღლის,
ვერც ვარწივობ, არც მუხლი მაქვს მგლის.

რატომ ვხედავ ყოველივეს შავს?
– სოფელს ბევრი პარაზიტი ყავს.

ვხედავ მაღლა მოლივლივე ქორს,
წყვდიადს მიაქვს განთიადი შორს.

ხელი ხელს და პირს ორივე ბანს,
ძმობას ვაძლევ ომახიან ბანს!

ახ, რამხელა სიმშვიდეა შინ!
თქვენს მტრობაში დამარწმუნებს ვინ?

რადგან მხოლოდ სიძულვილი მძულს,
მე ვერც მტრები შემიცვლიან სულს.

პატიმრის ბალადა 21.05.2008.

ნეტა, ვინმე გამიღებდეს კარს...
ტუსალი ვარ და ეს ძლიერ მღლის...
აქ წარსული კანკალებს და ყარს,
თვალები მაქვს მზის, მუხლები – მგლის...

71

ზღვასაც ჩემი ენერგია შურს,
მაგრამ სივრცე-ოთხკუთხედი, მშლის...
ამა სოფლის რა ვუწოდო პურს,
თუ შედგება იგი ბნელი ცის

და მიწისგან? მე რძისფერი მსურს!
მოგონება ამიდულებს სისხლს,
მე წარსულიც არ მძულს და არც ის,
მე რისთვისაც ვითმენ ამდენ წინლს,

ჩაზელილს ამ გისოსების და
ამ საკნისგან... ის ლოდია, ქვა!
მზეა ჩემი შორეული და!
ვინც კი „ჩემი სახლიაო“, თქვა,

მისიც მესმის! ჩემთვის ბნელა დღეს!
ჩამოვიხსნა, მინდა, მძიმე ქვა
და შევხედო თავისუფალ მზეს!

ვინ იცის, როგორი სიკვდილი მელის,
ვინ იცის, რას იტევს იმ დილის საგა,
როდესაც მომიწევს სიკვდილის ველის
აღება – აღდგომა სიკვდილისაგან!

მე ვხედავ, სიცოცხლე თითებზე ითვლის
ნლებს, წყეულს, ბედნიერს, ძვირფასს და იაფს,
მე ვხედავ, ჩემს თავზე ლურჯის და ყვითლის
ლრუბლებში ატყორცნილ, ფოსფორულ კიაფს.

ვინ იცის, სიცივემ შემიკრას სუნთქვა,
ვინ იცის, ვემსხვერპლო ძველ უარს მთვარის,
ოდესლაც ყინულის სიტყვები თუ თქვა...
მე მესმის წკრიალი, ტირილი ზარის!

72

სოფელო, მოხვედი მწირად და ყალბად,
ბალი მენატრება, სურნელი თუთის!
სიწმინდე გალობის, ღიმილიც ალბათ...
ერთი კელაპტარი და ცივი ყუთი!

ხანძარი

26.06.2015.

(სალომეს)

უკრავ, როგორც ლამით მთვარის სონატა,
ვდგავარ, გისმენ, მონუსხული მუსიკით,
რუ ჩქეფს ძარლვში და სიკეთის მონათა
ნალკოტს ვხედავ მენამული რუს იქით.

ხან სიცივე მესევა და ხან ჯარი
ცხელ ტალღათა, შენ ვერ მამჩნევ, რომ ისე
მწვავს დუმილში მარტოობის ხანძარი,
რომ ვბრმავდები მტერთან, როგორც ონისე.

სულ გხედავდე სამომავლო იმედო,
მინდა, ჩემში შენით შავი ვშალო მე,
გიყურებ და გულზე ხელი მიმედო,
რომ გულივით სულ მიყვარდე სალომე!

სარაპირი

26.06.2015.

ხან მდინარეს, ხან ერთმანეთს ვუჩივით,
დიდ ქალაქში თუ აღელდა სტიქია,
პატარა ვართ, ლუციფერის მუჭივით
და შავ ტბათან ჩვენი გრძელი რიგია.

ვგავართ თავზე შეყვარებულ ინდივიდს,
ვინც ნამდვილად, ჩირადაც კი არა ღირს, 73
გზა გვებნევა ნისლში ლაბირინთივით,
მფლობელები გავხდით ბრმა იარაღის;

ტყვიას ქვია შური, მტრობა, გესლი და
გადარჩენას ქვია ღმერთი უშრეტი,
რაც დაგვატყდა, თვითონ ეშმაკს შეშლიდა,
მოგვეწამლა ცოდვით ყველა უჯრედი.

საით მიდის საქართველოს დინება?
სად მივდივართ ჩვენ ასეთი სულებით?
მტერზე ფიქრით ღამით არ გვეძინება,
ბოლმას ვანთხევთ ყველა მიმართულებით!...

სრულ წყვდიადში მიგვიყვანა რიგმა და
ჩვენ ვიცით, რომ რიგში დგომა არა ღირს...
სიმართლისთვის იყოს გული სტიგმატა,
ოღონდ, სულში ნუ ვიკეთებთ ხარავირს.

დაუშრეთავი მზე

20.11.2013.

(სალომეს)

ვდგავარ სახლის შესასვლელთან... ნეტავი,
როდის მოვა ღამე ბნელი, ველი და
შენს თვალებში მზეა დაუშრეტავი,
ისევ მოდის სიო შენი ველიდან.

მე კი ვუმზერ ამ ყველაფრის მხატავი
ცას და ციდან თრთის ფოთლების ბალეტი,
მე მივუშვი ფანტაზიის სადავე,
მეოცნების მთელი სიალალეთი.

არაფერზე აღარ ვფიქრობ ღმერთმანი,
გვერდით მყავდე ოლონდ სიტკბოვ, ღვარულო,
საუკუნეს შევუსრულებთ ერთმანეთს,
არ გვეყოფა მაგრამ სასიყვარულოდ.

როგორც ახლა, სულ თუ ასე მიყურებ,
ცამდე ვზიდავ გაჭირვების ვაგონებს,
ახლა ვხედავ თვალებს ფანტასტიკურებს
და ეს მზერა ცისკრის ნათელს მაგონებს.

ისე მსურდა, შენი სახე მეხატა,
რომ სურვილში საუკუნე გავიდა,
ფიქრმაც ღამე ისევ გამიტეხა და
იხატები ისევ ფიქრის ლავიდან.

სააღსარებო

13.03.2014.

ჩემი თავის ქალა არის სანაგვე,
ჩემი გული – რიყის ლოდი უხეში,
რომ მოვკვდები, დამივიწყეთ, ან აქვე
გადამაგდეთ მარტოობის გუბეში.

არ მახსენოთ, არ მახსენოთ არასდროს,
ოვაციებს სული ველარ გაიგებს,
მინდა, ჟამმა ჩემი სახე დანაცროს
და ბურუსში ვხატავ ჭრელ მოზაიკებს.

ერთი ჭიქა წამიქციეთ საფლავზე,
სადაც გდია ჩემი ნეშტი უძღები...
საღამოა, ნელა ჩადის დაბლა მზე
და კვლავ ლამის ყინვით დავისუსხები.

ბათუმი და მე

08.03.2008.

მაგონდება ზღვა, ლამაზი და ჩუმი,
მენატრება ჩემი კარგი ბათუმი!

თვალწინ მიდგას აჭარული საღამო,
სიყვარული, ასე დაუსაბამო!

75

ქვიშა, ტალღა, პალმები და სამება,
ეს სიმღერა რასაც ესაბამება!

იქ გავყვები მე ნიავის იალქნებს,
ჩემს თეთრ ფიქრებს ქარი იქით მიაქნევს!

თუ თვალებში ისევ ნისლი ჩადგა და
მომენატრა მე ბათუმი ქათქათა,

– თეთრ ღრუბლებს და ქარის სუნთქვას გავყვები
რომ დავკოცნო ბებერი ზღვის ტალღები!

ხმა ნაბიჯების

20.12.2015.

ღრუბლები გვანან ზოგი აქლემს, ზოგი – ჩაიდანს
და კიბეებზეც ისე ისმის ხმა ნაბიჯების,
როგორც თითების კლავიშებზე... დაბლა ჩაიტანს
გლოვას მუსიკა: დროა დაკვრის და გაგიჟების.

(სალომეს)

ყინული წკირივით წკრიალებს,
ატირდა მდინარე მარტივით,
არ დავცლი ფაუსტის ფიალებს,
არ მინდა სიკვდილი მარტივი.

მინდა დო, რე-მი-ფა, სოლ-ლა-სი,
ვიტირო ტირიფის არია,
ვისწავლო სიტყვების სკოლაში,
იქ, სადაც მუსიკის ქარია.

მწვანე მთებს უთეთრებ პარიკებს,
შეგნატრის დახლიდან ჯოკონდა,
მე შენი არსება მარიგებს,
მას მუდამ სინათლე მოქონდა.

76

არასდროს არავინ ინატრებს,
ნავიდეს, რაც გნახა ასეთი...
იზიდავ ღრუბლების ბინადრებს
ცრემლებით, ტკბილით და მლაშეთი.

ძალიან გიხდება წვიმა შენ,
ხარ ჩემი სიჩუმით მმოსავი,
რომ მკვდარი სიკვდილის წინაშე
იცოცხლო უკვდავი დროსავით.

მე ვიცი, სიპნელეს ვერ იტან,
მამდიდრებ სინათლით, უცებით,
ქათქათა მწვერვალის წვერიდან
დათოვლე უგრძესი ქუჩები.

მე მინდა დო-რე-მი, დო-რე-მი,
ჩვენს ფიქრებს მუსიკა ალაგებს,
ნოტები, ლურჯები, შორები,
დაკოცნის სოფლებს და ქალაქებს.

წავიდნენ პირქუში ბინდები,
შემოვლენ სხივები და ისევ
უქრობი კოცონით ინთები
და ველი შენმიერ დაისებს.

ყოველი ტაეპი გიგონებს,
თოვს, ფრენენ ქათქათა ციკნები...
შენ მუდამ გაათბობ სტრიქონებს,
როდესაც მე აღარ ვიქნები.

ჩემი დღე

12.09.2011.

დილით დაბლა ეცემიან წვეთები,
მე მივყვები ქარიშხლების ვალსებს,
ღამით უცხო თვალებს შევეფეთები
და ვიფიქრებ საოცნებო ქალზე.

77

შუალამით გამიტაცებს დინება
მოცეკვავე სიამაყის მთაზე,
დილით ისევ ტკბილად ჩამეძინება,
გავიღვიძებ კვლავ სიმშვიდით სავსე.

სურათი: როახი...

27.11.2013.

სურათი: ოთახი, მაგიდა, ყავა,
რუხი ელექტრონის სხივების ქსოვა.
ქვეყნად ყველა კაცი მოვა და წავა,
მაგრამ უცოდველად არავინ მოვა.

ვერც უსიყვარულოდ ვიცხოვრებთ დროში,
სადაც ყეფა ისმის სოფელში კატის,
სადაც ფასი ადევს კაცობას გროშის,
სადაც ღმერთის ნაცვლად სიბილნე დადის.

ისარი და ფრთხები 12.08.2015.

ცხოვრებას დავარქვი ჯუჯა ხე
და მინდა, ამალლდეს ზეცამდე...
სინათლეს იმდენი ვუძახე,
წყვდიადში იმხელა მზე ჩავდე...

ბოლოს კი გონებას მაღლიდან
ნასროლი ისარი გაერჭო,
ველოდი, თუ როდის დაღლიდა
ჩემს სხეულს სულეთის საელჩო;

აქ ყოფნამ წარსული გაყიდა
ერთ ლუკმა პურში და ვნაყრდები...
კარგია მომავლის ხახიდან
ნასროლი ისარი... და ფრთხები.

78

ლამურა 17.05.2015.

ჭალაში ისმოდა კაბათა
შრიალი: ღმუოდა ღამურა.
ნიავმა გრიგალი დაბადა
და თოვლი სიბნელემ გამურა.

დაგლეჯილ ზეცაში ვისროდი
გვირგვინებს, მოჭედილს ოქროთი...
ვიყავი ტყვე მარადისობის,
შენ კი დაჭრილ გულში მოქროდი

დროო, ავადმყოფთა, უცხოთა...
ორსქესა მახინჯთა შემოდის
ხროვა და ხროვას წინ უძლოდა
დემონი, ჰალსტუხის გემოთი...

დაჭმული ფრჩხილების უფროსმა
გაეცი ორივე ნალი და

გხატავს ღრეობა და უფრო სმა,
ეშმაკმა დაგინვალიდა
შენ ერთი მთავარი უჯრედი
და მსხვერპლი გამხდარხარ მათრახის,
შუბლზე გაქვს კოცონი უშრეტი
და დედაშენია ჩათლახი!...

თავი მოიკალი დემონო,
ან შენი სიგრილე გადამდე...
გადახრილს როდემდე ვემონო,
თავი უნდა მალო სადამდე?!...

დეკემბრის ლამე

13.12.2014.

ვბნელდები დეკემბრის ლამეთი,
ამ ხელებს ხუნდები აბამენ,
ახ!... ჩემი ციფრია ცამეტი,
სხვაროგორ მიყვარდეს აბა მე?

79

ხორხოცებს ხომალდი ორხიდა,
სიბრძნისგან აორთქლდა იგავი,
ამოვხტი წყვდიადის ხორხიდან,
რადგან იქ ბრმა და ყრუ ვიყავი.

ურჩხული მიყურებს კაცივით
და სისხლი ძარღვებში იმატებს,
მაციებს ცერპერის საცივი,
დემონებს დავცინი კვიმატებს.

ქარს ვუხმე ბრაზიანს, ქარმა კი
დალენა შიშების ბორკილი,
ჭის ფსკერზე ჭირი მჭამს ჭარმაგი,
ყარს ირგვლივ ყოველი, მორგივით.

უმკვდრესი ნაყოფი მესხა მე,
ვაშინებ დაშხამულ შადრევნებს
და ვუმზერ, მახინჯი ეს ლამე
თვალს როგორ გულგრილად მადევნებს.

ტაიგის პრეცერტი

12.04.2014.

ლრუბლებმა გამართეს კონცერტი,
იშლება მომრგვალო მაგიდა.
დრო იყო, მოთხრობებს რომ წერდი
პოეტო, ყინულის ბალიდან.

მივფრინავ ჰაერის ხიდიდან,
საფრენად გონება მიმეტებს,
ქუჩაში ბრმა ლექსებს ვყიდი და
ვაცოცხლებ დახოცილ იმედებს.

ლოგინქვეშ დახტიან ჯუჯები,
მე ახლა სიბნელე დამათრობს,
მე ხომ მზით ვერ გავირუჯები,
რადგან მზე არ არის არასდროს!

80

გარშემო ქათქათა კვამლია,
თოვაში მძინარე ვბრუნდები,
კივილით იკლებენ წამლიან
ჰორიზონტს ჭოტების გუნდები!

მე მინდა სურათი, უშლელი
სული რომ უმალვე გაიგებს...
მხოლოდ გაზაფხული უშველის
ყინულით დაკოცნილ ტაიგებს.

უსახო

02.04.2014.

აპრილი ყვავილებს აგიუებს,
ზამთარი დაიხევს უკან და
დგამს ვიღაც არითმულ ნაბიჯებს,
ჩერდება დაკეტილ დუქანთან.

ახ, იგი უსახო ლოთია,
იგი სვამს ქუჩაში შეჭედილ
სიმთვრალეს და მასთან მოდიან
ლამე და ეშმაკის ბეჭედი.

ამქვეყნად ასეთი ბევრია,
წყვდიადი ერევათ დილაში,
ეძებენ დაგლეჯილნერვიან
ღმერთებს და უწყდებათ ილაჯი...

ყვავილებს აგიუებს აპრილი,
ზამთარი უკან დგამს ნაბიჯებს
და მშიერს ხელებში ჩაყრილი
სიკვდილის ხურდები აგიუებს.

სინათლის ლოდი

27.9.2014.

არასდროს ეშვება მიხო კავს,
ყრუ ცრემლი მუნჯ ლაწვებს მიხოკავს.

ყოველთვის ვჩექმავდი ბარიგებს;
ეს სული მათ ყოფას არ იგებს.

81

მიცურავს ოცნების იახტა,
ის შუბლით შავ შუბებს მიახტა.

თაღლითი ვიცანი დამაში
და მაინც ვაცალე თამაში,

რომ მუშტით მიმეღო ის ლამე,
სადაც განთიადებს მისხამენ,

იქ, სადაც ჰაერის ხიდია,
სადაც სულს არასდროს ყიდიან.

იყო და წავიდა მესია,
ცხელ ხორცში ბოროტის დეზია...

მანყნარებს წყაროთა გრილი სმა,
თეთრ თმებში დავკარგე თილისმა,

ზარდახშას მაგონებს რომელიც
და ვიცი: ქაოსი მომელის.

ლამის ელეგია

27.01.2014.

მაქვს ერთი სიცოცხლის ოქრო და
მარადი წყურვილის მანია,
ჩემსკენ რომ გრიგალი მოქროდა,
ხელებში ჩამაკვდა, ჯანიან.

ახლა კი ვძაგძაგებ და სპაზმა
ზეიმობს კისერში ძარღვიან,
დამცინა სიკვდილის ჯამბაზმა,
თუმცა, მას ჯამბაზიც არ ქვია.

ხელებში მიჭირავს ჯოხები,
ჩემია დარბაზი და სცენა,
დაცინვას ვერ ვეამბოხები:
სიკვდილსაც ჯამბაზმა დასცინა.

მე ვწერდი, მე ვწერდი და სპაზმა
დაძრწოდა კისერში ამაყად...
დუმილი. მიმილო დარბაზმა:
დარბაზში დავრჩები ამაღამ.

82

ყორნის პორიზონტი

21.09.2015.

მოიტალება შემოდგომის წითელი ბროლი.
ტროლი ტიტინებს ქარვის ტყეში და ყინვა შედის.
ყინული დუღს და ღრუ ხორციდან ხმა მოდის სროლის,
დაიგრაგნება დაბოლმილი წივილი გედის.
ილენებიან ბუნიკები ყელზე ისართა,
საშიშ დუმილთან ვხმატკბილდები, როგორც იუდა,
ყელში გარედან ცეცხლის ხაო შემოიზარდა,
შავ აკლდამაში ქარიშხალმა იდებიუტა.
ასე ვთანხმდები, ქაოტური მქონდეს ხედები
და იბოგინოს ჩემში ყვავმა, ავმა და რუხმა...
ლოდებს ვიგროვებ სულის ფსკერზე, ბურუსს ვედები
და ტრიბუნიდან დაუნდობლად ხრიალებს ცრუ ხმა.
ჩემს წარმოსახვას სტუმრობს მხოლოდ სურათი გიშრის,
იგი სარეცლად მხოლოდ ყორნის ჰორიზონტს მიშლის.

მე მემძიმება მარტოობის გვირგვინი, როცა
ბერნია მიწა უდაბნოში... ყოფაც ბერნია...
ვიცი, წარსულმა უხილავი მახვილით ხოცა
ხვალის დღეები, აკვანში რომ უნდა მერნია.
ბრბოს მოსავალი მომაგონებს შავი ტბის დომხალს!
ასევე ჩემიც... ცეცხლით როგორ დავიცვა თავი?
დროებითა ყოველივე! გულსაც ვერ მომფხანს
ვნებების ტკბობით შავ მწვერვალზე ასული ნავი...
ჩერდება მხოლოდ მდუმარება ეულის ქოხთან!
მე მდიდარი ვარ მხოლოდ ქვიშით! ამიხსნა, იქნებ,
თავო, გაგირბის ნეტავ, რატომ სიცოცხლე კოხტა,
ანდა, რატომ წერ სიცოცხლის და სიკვდილის წიგნებს?

ალარც მდინარის ნაპირები მინდა, აქეთა:
აქ ხომ გვამებიც ფუთფუთებენ მოლაქლაქეთა.

83

სიმართლის ვაზები

09.08.2015.

როგორც არასდროს, ისე ვუგებ ახლა მეფე ლირს,
თუმცა, პუბლიკით გარშემორტყმულ კაცად ვითვლები.
სიტყვებს ვაგროვებ, საქართველოს მთებში შეფენილს,
იქ ეწყობიან ტაეპები მშიერ-ტიტვლები.
დაგხეტიალობ, სადაც სიტყვას ფასი აქვს მეფის
და სადაც ფეხს დგამს იშვიათად მოდგმა კაენის.
მე ვჩურჩულებდი; ბავშვებივით მისმენდნენ მთები,
უნდო ვიყავი სხვა რწმენის და სხვა დედაენის.
მე სად წავიდე, სად ვუსმინო ბუნებას, თუ არ
მთის დაკიდებულ ჭიუხებში? ველურ თხასავით
სვლა მინდა მალლა და სალ კლდეებს ვერ ვკადრებ უარს,
თუმცა სულს ვკვებავ ეშმაკის და ღმერთის ნაზავით!

მაშინ ვიმდიდრებ, როცა მწირი დავჯდები ქვაზე
და სავსე მკერდში გავახარებ სიმართლის ვაზებს.

ჩვენი პორტზონტი

21.07.2015.

(სალომეს)

ყოველთვის ვგრძნობდი შენი სახით სულში შეძენილ
მზეს და გნატრობდი სანთლის ალად, არ იყავ როცა,
მუდამ ვიქებით უკეთესის მოიმედენი,
ჩვენი მომავლის ჰორიზონტი განვებამ ლოცა.
მე იქ ჩავაგდე ჩემი ბადე, სადაც მადანი
იყო ბურუსის და რჩებოდა ქვიშა ქვიშავედ,
მე მთა ვიპოვე და ავყევი ტანში ატანილ
ქარს, როცა გზები ვარსკვლავებმა წინ გაგვიშალეს.
მივაბიჯებდით და სურნელი იდგა ლავანდის...
ჩვენ ვეღარ ვგრძნობდით, უხვად როგორ გვასხამდა წვიმა,
ორთა ოცნების ბრძოლისათვის გავგალავანდი
და გაანათა ჩემმა ყოფამ, მუნჯმა და ძვირმა.

84

ყოველ დილით და ყოველ ლამით გეტყვი, რომ გზა ხარ
და ჩემგან არსად გაუხვიო, დამტოვო ალარ.

3001ხო3 შენდობას

17.07.2015.

მთებს ქარიშხალმა ანაფორა ღრენით გახადა.
ცას ლეჩაქივით ეფარება ფერი სინათლის.
ყოველი მხრიდან აღწევს სუნი აფთრის ხახათა,
რომ მოსავალი დააბრუნოს ჩიტმა წინა წლის.
ვითხოვ შენდობას: ვიხილავდი სიცოცხლის მიღმა
კაცთა სულებზე მონადირე გვამთა ქამანდებს!...
დე, სამუდამოდ დამივიწყოს ყველა თარიღმა,
მასწავლებლებმა თუ სიცრუე თიხას გამანდეს...
მე ვარ დუმილით მონამლული... მიწყალეთ კრავი
ამ სოფლის, სადაც კვლავ გათელა რკინის ულაყმა
საფლავი მამა-პაპის, მე კი ამაოდ ვბლავი
და უმეგობროდ განწირული ვგდივარ გულალმა!
მე ვარ დუმილით მონამლული. მინდა მღვიმეთა
განძი, რომელმაც წყვდიადისთვის ვერ გაგვიმეტა.

მე დავისახე გზა შორი და შავი. ტაძრები
რა შორს არიან და რა ახლოს შენგან, უფალო!
სუსტი მუხლებით მიწას ვკანრავ და ვიკანრები
და ვცდილობ, ჯვარცმა ნაფოტისგან გამოვუთალო
ჩემს თავს, რომელიც ხორცის შვებას გაურბის იქით,
სადაც სიმშვიდის სავანეში ვადგენ თარიღებს.
ორი ხმა ერთად მესმის მუდამ; პირველი რიხით
მთავაზობს გვირგვინს, მეორე კი ტკბილად მარიგებს.
ჩემგან შორს, ხალხში, რა შავია ყოფის ჯეჯილი...
და შორს ამიტომ გაინია ჩემგან ქალაქმა,
ვარ ქვეყნიური ხმაურისგან გულდაგლეჯილი
და ჩემში დაქრის მხოლოდ ღმერთის ქართა ქარაგმა.

მე სულ ქოხში ვარ. რა კარგია ქვეყანა: როდის
იყო დრო შურის, ბოროტების, მკვლელობის, შფოთის? 85

დერეფანი

07.06.2015.

ვბეზრდები მუზას... აღარ ძალმიძს საქმის მორევა
არც გონებრივის, არც მკლავისა: მგონი, ვბერდები...
ამქეყნიური ღრიანცელი მექცა მორევად,
სადაც მითრევენ მწვავე ცოდვის აისბერგები.
ჩაეტეთ კარი კელიისა, როდესაც შიგნით
შესვლას გავძედავ... ვხედავ მხოლოდ მკვლელობებს გარეთ!
ვისიზმრე ბერი გაბრიელი კვერთხით და წიგნით:
მე და ის ერთად მივდიოდით ფეხით ნაზარეთს.
მაგრამ ვიღვიძებ, რომ ვიხილო კუშტი გოლგოთა...
და ვეუფლები აზრს მწვალებლურს, მდუმარს და ორგვარს:
არ მინდა, ისე, როგორც ახლა, სულ ვიბორგო და
არც ის, ვუყურო ნიღბოსანი დემონის ბორგვას.

იქნებ, როგორმე გავალნიოთ ცეცხლის დერეფანს
და შვილებისგან იქნებ ავცდეთ ზიზღის ძგერებას.

ლმერთო, ყოველდღე მასმენინე შენდამი წირვა,
ლმერთო, მომეცი ძალა, გავძლო სხეულში, ყრუში,
ლმერთო, გონება გაუნათე, ვინც მე მაჭირვა,
ლმერთო, მინყალე მე ცოდვილი, მკვლელი და მრუში.
ლმერთო, განმბანე შენი მონა მადლის წყაროთი,
ლმერთო, იქროლე ჩემში მუდამ, როგორც გრიგალი,
ლმერთო, მახსოვდე, მინდა მუდამ და მიხაროდე,
ლმერთო, მამყოფე ჩემს დემონთან შეურიგალი.
ლმერთო, ცოდვები მომიტევე, მახსოვდე რადგან,
ლმერთო, იდიდე დედამიწის ყველა კუთხეში,
ლმერთო, მადლობა, რწმენის ფესვებს ჩემში რომ ლრმად რგავ,
ლმერთო, განმიგდე ფიქრი შავი, ყრუ და უხეში.

86

არ დამივიწყო, არ დამტოვო, რათა ვხედავდე
ჩემს ცოდვებს ისე, რომ არ ჩავყვე ჯოჯოხეთამდე.

ლვარცოფის ხაო

17.06.2015.

ქალაქის ცენტრში სულ ხარობდნენ წყნარი ვერეთი,
თავს არ დაატყყდა ვიდრე ქალაქს ღვარცოფის ხაო,
ვიდრე რიურაჟზე ხაფი გლოვით არ ვამღერეთ ის
სევდა, რომელიც მარადიულს იტევდა ქაოსს.
როცა სხეულში ნაზი სული ძევს და ივლიტა
სიყვარულისთვის ეჭიდება სიცოცხლეს ხელში
(ვინ იფიქრებდა, რომ სიკვდილი წყალზე ივლიდა,
ვიდრე რიურაჟზე მოვიდოდა სიცოცხლის ელჩი...)
სხვა გოგონები? მარიამი, ლიზი, ინდირა,
ანდა სხვა ხალხი? სასაკლაო ბინძური ქუჩის?
ლამე, რომელშიც გაიწელა ლაბირინთი, რა
სასტიკი იყო, სიტყვები კი – როგორი ფუჭი...
პირველად ვნახე – ლმერთი იყო ყველგან და მუდამ!
ჩვენ რას დაგვაკლებს წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მინა?!

მაშინ მეორედ მიმოფანტა ვერცხლი იუდამ
და ტალახიან ქუჩის მკვიდრში უფალი ვიცან!

მხოლოდ ერთს ვნატრობ: ერთმანეთი გვიყვარდეს ასე,
როცა არ გვიჭირს და მაშინაც დავწეროთ ცაზე
– მიყვარს არ...

ფოლადის ჩიტი

07.03.2015.

ჩემში ჭინკების შეაღწია ავმა კრიახმა,
ლრმად გამჭრიახმა სხივმა კოცონს დაადგა დაფნა.
შუბლს აყვავებულ უდაბნოთა ხვრინვა მიახმა,
მოვიდა კაცი და თილისმა მიწაში დაფლა.

მე მიყვარს, მიყვარს, ჭაობების სიმწვანე მიყვარს,
მე შემინირავს სასოება, ან სიყვარული!

ვქმიდი და შევქმნი მოგონილი მზისგან ანტიკვარს,
რომ კოშმარები შევაგროვო ანტიკვარული.

ფოლადის ჩიტი მეჯახება შუბლში ნისკარტით,
სისხლიან ველზე ჩასვრილ მფრინავს ვპოულობ რუსთა.
წყვდიადში ვსხედვართ, ვერ აღვდექით, ვერ გავცისკარდით,
ბნელში ერთმანეთს ვეჯახებით მეწამულ რუსთან.

ვერას დაგვაკლებს უცხოს მტრობა! ჩვენი ქაჯობა
თუ შეგვინირავს და დაგვტოვებს ხრამი წარსული...

სიბრძავის გამო ბარბაროსთა ტომმა გვაჯობა,
დაგვრჩა საწმისი, რქიანი და გადაპარსული.

მოტყუებული ქმრებივით ვართ: გვიჭირავს რქები,
უსუსურნი და საცოდავნი ყანნად ვიხმარდით,
არ შეგვიძლია მაგრამ ესეც და რქებს ვერგებით
მხოლოდ იმ მსხვერპლად, რომ უჭირავს გუგულს ნისკარტით.
ვეძებთ ჩვენს ადგილს სამყაროში, მაგრამ რადგან ის
მუდამ გაგვირბის, ოკეანის როგორც დინება,
ვერ გვიხსნის მკვლელი უფსკრულისგან სისხლი ბატკანის
და მიწის ზურგზე მხოლოდ ტანჯვა გვეპოტინება.

მოდის და მიდის ჩვენი მოდგმა, მიდის და მოდის,
მაგრამ არასდროს მსუბუქდება სიმძიმე ლოდის.

მენამული შორეთი

19.03.2015.

(სალომეს)

კლდოვან ნაპირებს ახსოვთ შენი ლოცვა, მღვიმეთა
სილრმიდან ჩემსკენ გატყორცნილი, როცა მშიოდი,
ცალკე ყოფნისთვის, ადრე ნეტავ, ვინ გაგვიმეტა,
რატომ ვსუნთქავდი ადრე მხოლოდ საიქიოთი?...
ჩემს გარდა, ველზე მოენატრე წითელ საკურებს,
ის ვარ, ვინც სულის უდაბნოში წყაროდ გინატრა,
უშენობისას ვინც მენამულ შორეთს გაყურებს
და განთიადზე თავს გრძნობს მღვრიე ლამის ბინადრად,
როცა შემოსვლას აგვიანებ... მე არ ვარ ბრძენი,
უფრო მეტიც - ვგრძნობ, როგორ ლოკავს კოცონი ძარღვებს...
ოდესლაც ჩემი დაბადება შენით ვიგრძენი,
ახლა სიკვდილი ჩვენს სიყვარულს ვეღარ დაარღვევს!

88

მე აღარ მესმის მარტობის ავი ლავლავი,
როცა შენს გვერდით თუნდაც ერთი წამი დავყავი.

ტირე

05.03.2015.

ლამეს ატყვია მარტის სუსხი. შავი თითებით
წყვდიადი ცდილობს, მოიპაროს სიფხიზლე ჩვენი.
კარიერაზე მდუმარენი არ ვიყიდებით,
ვერცხლს ვერ დაიტევს გაბზარული შენობის სხვენი.
ხანდახან თურმე, საჭიროა წვალება ხორცის,
უძილობა და შიმშილობის ყველა სტადია,
რომ შეუერთდეს ნაფიქრალი ფურცლებს, როგორც ის
პოეტი, ფიქრში ლამე თეთრად რომ გაათია.
დავარიგებდი ჩემი ფიქრის ყველა საბადოს
და უარვყოფდი საიდუმლოს ყველა გასაღებს,
მაგრამ, არ მინდა, დავიწყებამ ტირე დაბადოს,
მშვიდობის ელჩად რვა ციფრს შორის თავს რომ ასაღებს.
ფარისეველი... მეგობრობას მედავა ტირე,
მაგრამ, ასეთი მეგობრობის დედა ვატირე.

შთორმის გედები (სალომეს)

09.08.2014.

შმაგ წყალზე ხელებალმართული მოდის მესია.
იძირებიან აყეფებულ შტორმში გედები.
ყველა ღამე და ყველა ფიქრი სალომესია,
ყველგან და მუდამ მასზე ფიქრის კედლებს ვედები.
მან აირჩია გალექსილი კაცის ცოლობა,
იგი დაფრინავს, იგი დუმს და იგი დაყურებს
ყვავილთა ნიავს, მოფარფატეს ბალის ბოლოდან,
ებასება თეთრ ვარდებს და წითელ საკურებს.
ჩემი თვალები უყურებენ – ღამის ქურდები.
დილის მზე ციდან დაბლა ყრიდა შუქის ნაფოტებს,
იქ ვარ, იქ ვსუნთქავ, იქ ვცოცხლობ და იქ ვსადგურდები,
სადაც სიცივე ჩემში ველარ შემოაბოტებს.

მუდამ გვკანრავენ პოეზიის ტკბილი ბარდები
და ჩემს სტრიქონებს მარადიულ მძევლად ბარდები.

89

ცხელი ყიცული

05.04.2011.

წითელ თვალებში ქარიშხალი აღწევს ჯიუტი,
ხელისგულებზე გაცვეთილი შაირებია,
საშინელების დასასრული და დებიუტი
მკვდარ საფლავებში ბუზებივით აირევიან.
თეთრი ყინული ფერს არ იცვლის, აღწევს მწვერვალებს,
ივლისის სხივი ვერასოდეს შეცვლის თებერვალს,
ღანვებზე გლოვა აადულებს სხვა თებერვალებს,
მოითხოვს მშრალი მინა ზამთრის სულის შებერვას.
მე ჩავხატავდი ბადის ყოველ უჯრედში ნოტებს,
თუნდაც, ვიცოდე, ყველგან მკვლელი ქვესკნელებია,
ხელს უმაღლესი გალავანიც ველარ მიწოდებს:
– სულს უკვე გიშრის წყვდიადები ემკვლელებაინ.

თუმცა, თეთრია, მეც გავურბი ყინულს რატომლაც,
და ჯოჯოხეთშიც ველარ ვხედავ სულის კატორლას.

მოსალოდნელი მოგონების იყო ტყე-ველი.
 მის სახლად იქცა იქ ცა, ხსოვნას არ აცდა მარადს,
 მე ველი შენგან ცხელი ცრემლით გაფლენთილ ბარათს,
 რომ ცაში მაინც დავდგათ ჩვენი საკურთხეველი.
 მავია სივრცე და გრძნობები! მწარე ნაზავით
 სუნთქავს გონება, შთაგონება ერევა ლანდებს,
 მე შავმა სიზმრის დრიადებმა ის გრძნობა მანდეს,
 რომ იწვის, ჩნდება და იზრდება ღვთის რწმენასავით.
 ხარ სხვა ბადეში... ვნატრობ: არა! სხვა რა ვინატრო?
 ღვარად ზღვა მომდის, ფერს ვერ ვხედავ მუქშავის გარდა!
 მჩხვლეტს ხილვა, იცვლის სახეს, გემოს, მანვება დარდად,
 ის არის ჩემი საცხოვრისი და საბინადრო.

ჩემი ფერია შავი: ის შენ ისე გიზიდავს,
90 როგორც ქვესკნელის სიწყვდიადე ქალღმერთ იზიდას.

მირაჟი

09.04.2009.

მარადიული მდუმარების სივრცე ულევი
 ანგრევდა ჩემი მწვერვალების მწვერვალზე მამულს,
 მუდმივი კითხვა მანყვეტინებს ფიქრებს დაშხამულს,
 კვდება მამული, რჩება მხოლოდ ნამამულევი.
 რა იყო? რა? რა იქნება? კითხვა ისევე
 ღრღნის სულს, ანვალებს მოცეკვავე ძილში ფერიებს
 და ჩემთვის მხოლოდ ის მირაჟი იარტერიებს,
 რომლის ნაშთები ღამით მშიერ ტურებს მისევენ.

ვეამბორები წარსულ დღეებს, ოდესლაც ძლიერს,
 ახლა ვუპყრივარ მარწუხებში უცხო მორიელს
 და ჩემს ღიმილსაც, გადაკარგულს, ვჩუქნი ამბორად.

მისი ლუქმა ვარ, ის არ მიშვებს მწარე მარწუხებს,
 დავიწყებაა, მოუგონარ სულს რომ აწუხებს,
 ჩემს ხსოვნას ვეტყვი, მომანოდეთ ძველი ამფორა!

მუშტებშეკრული მარტოობის ვდგავარ გვირაბში.
დავათორევ კლდეთა ბასრ ნატეხებს და კრატერები
ფულან თვალებში ჭუჭყიანი წვიმის წყალივით.
რაღაცნაირად მივხვდი მაშინ – ვგავდი სიზიფეს.
მენატრებოდა მღვრიე ტბების წყალქვეშა ხედი
და ასწლოვანი ქანდაკების ჩრდილქვეშ ვსუნთქავდი
ძარღვებდახეთქილ უდაბნოთა ყვითელ დაცინვას.
ყველანი წადით, ვისაც არ გსურთ, რომ ლოდის მსგავსი
(მხოლოდ, დუმილში...) მოზიარე გახდეთ პოეტის!...
მე ვვრძნობ ბოლოში უწერტილო გვირაბის სიგრძეს
და პირამიდა მედავება გაუგებრობის.

მკვლელი ფიქრები

30.04.2015.

91

თავის ქალაში შავი ჯანლი ამოტივტივდა.
სურათი: მღვიმე, შუალამე. შხამის წვეთები
ეწვეთებიან მღვრიე ხორხში ძვლების ჭერიდან.
ყაყანებს ყვავი. მკვლელ ლელეში ვვდივარ გულდალმა.
ხიშტის ხერგები აიზიდა მინიდან მალლა
და ჭერს მიაბჯენს ასწლეულის გაბოროტება!
მნამლავდა სუნთქვა ქვესკნელების. გაქრა ჰაერი.
მკერდგახვრეტილი ფართხალებდა გვერდით სიგიუ
და ქირქილებდნენ ბურუსების ბერნი ბენდები.
გვამში ჩასახლდნენ ქარიშხლების ბავშვობის ძვლები.
მშვიდი კედლები სად არიან?! გისოსებს რატომ
მივყავარ მკვდართა სიცოცხლისკენ, რატომ მტანჯავენ?!
მოკვდა მშვიდობა, სამუდამოდ მოკვდა მშვიდობა!
ხტიან სპაზმები სხეულიდან ლელებივით,
მაგრამ გონება გამინათდა და მივხვდი უცებ:
მეც იმას ვხედავ, რაც ყოველთვის ელანდებოდა
მდუმარე სულის ქანდაკებას... ბუუტავდა შუქი.

შავი და თეთრი

19.02.2015.

მთელი ცხოვრება მე მეგონა, რომ ფერებს შორის
სიკვდილისფერი მეფობს მხოლოდ და საფლავებში
მივიწყებული სინამდვილე დამცინის ჩუმად
და თვალებიდან მომავალი ორთქლმავლებივით
მძიმეა სევდა წუთისოფლის გისოსებისა.
მაგრამ დაიმსხვრნენ მითებივით ყორანის ფრთები,
ყვითელი ბურთი ამოცურდა მწვერვალებს მიღმა
და შევამჩნიე ძველი სითხეც, რომელიც კვებავს
სიკვდილს და არ აქვს მისი ფერი: რძე არის იგი,
ტკბილი, ქათქათა, მოწველილი კუდიანების,
მორჩილად დახრილ რქიანების ბერნი ჯიქნიდან.
სიცოცხლისფერი შეეტოქა წყვდიადს, იმიტომ,
რომ არ მეგონოს განუხრელი ძალა ჩემს თავზე
დაუსრულებლად მოხორხოცე კუდიანების.

92

ლამის ტანზე

31.01.2015.

ვკითხულობ ლორკას, ლამის ტანზე ვკითხულობ ლორკას,
ბოშის სიმღერა მოასკდება ფორთოხლის ბალებს.
ყვითელი ქარი ატირდება გიტარის ხმაზე,
დაიკივლებენ ვარსკვლავების ქიმთა ბზარები
და ბრონეულის ოქროვანი მძივის მარცვლები
დაიბნევიან მოელვარე შუალამისას.

შეღებულ კართან

26.12.2014.

(ეძღვნება თავისუფლებანართმეულ ადამიანებს)

ერთხელ გისოსებშენგრეული ვნახე სიმაღლე!
სადაც არასდროს, თანაბარი იყო არავინ,
ვნახე ის, რამაც ამიღელვა ნერვი ყოველი:
შეღებულ კართან ჩაჩოქილი იდგა თემიდა
და უიმედო ტუსაღების ტიროდა ბედზე.

უძილობისას

26.01.2015.

ახ, დაწყევლილო ღამეებო, ძილი მომეცით!
უკვე გულს მირევს ყველა აბი, მაძაგძაგებენ
აკივლებული უჯრედების მძიმე ლოდები!
ძილი მომეცით, ძილი, ძილი... რაღა ვიპოვო
თეთრი სიფხიზლის ყბადაღებულ, უძირო ჭაში?!
მაზიდებს თოვლის სიქათქათე შუალამისას!
ახ, დაწყევლილო ღამეებო, მომეცით ძილი!
უბედურება დამტრიალებს მუდამ ქორივით
და ვიცი, მალე დამახტება თავზე სიგიურ!...
რა ვუყო ღმერთო, მარადიულს, რა ვუყო ტკივილს?
მივხვდი, მე მივხვდი: ვენამები სამარადისოდ.

სამყაროვ, გრილო

24.01.2015.

სამყაროვ გრილო, თანახმა ვარ შენში ყოფნაზე.

93

ალარ მიზიდავს ფიქრი ფრენაზე,

რადგანაც ვიცი, ქვაფენილზე დავენარცხები.

(მე ოცი წელი მანამებდა ფიქრი ფრენაზე...)

სამყაროვ გრილო,

ზღვაო ყვითელი ფოთლებისა, ქარის სისინო,

სველო ბალიშო, ჩემი ცხოვრების სიხარულო,

გაყვითლებული სიყვარულის სველო ბარათო,

მე ისე მინდა, მერიქიფე რომ ვიყო თქვენი

ცხოვრების ბოლო ამოსუნთქვამდე,

რომ ჩაჩოქილი გევედრებით დაუსრულებლად:

ალარასოდეს დამიშალოთ თქვენში არსება,

გაგიუებამ რომ არ დამრიოს ჯიუტი ხელი

და შსამიანი ფიქრი რომ არ შემომიბრუნდეს.

ნატვრებ 11.04.2015.

(სალომება)

აი, რას ვნატრობ ახლა, როცა შემომაგონდი:

წვიმდეს, გეძებდე, გბოულობდე ჩიტების წრეში,

ერთად წავიდეთ სამყაროთა გალავანისკენ,

რათა გავალოთ და შევუშვათ გულში სხივები

– შუქი, რომელსაც ვერ ჩააქრობს ვერსად ვერავინ.

დედავ შუქისა

05.01.2015.

დედავ შუქისა, მოვფრინავ შენგან,
მე სხვა გზა არა დამრჩენია რა.
შავი სხივები მობრძანდებიან
აყვირებული სხეულის ხმაში
და სვავებისგან დაკორტნილ მკერდზე
იკანრებიან ხმაურით ჯვრები.
მე კი ხელები მემტვრევიან ცადაპყრობილი,
კივის ფლეიტა მარტოსული და
ფეხქვეშ ჭკნებიან დალენილი პალმის რტოები.

უდაბნო-გიდი

03.01.2015.

94

გავყვები უდაბნოს გაოფლილ ნაპირებს,
სადაც გარიყული სული ხეტიალობს
და მლოკავს სამუმის ქვიანი ხორშაკი,
იქ, სადაც ხვლიკებით მხოლოდ სადილობენ.
არ არის სიმშვიდე, არ არის! ხრიალებს
მთვარე ჩამომხრჩვალი და გველი მიმიძღვის
ყრუ მდვიმის სიღრმეში ისევ დასაღუპად!
ჩაშავდეს ქათქათა ლითონი: გზა არ აქვს.
მხოლოდ სიყვარულის თეთრი მდუმარება
მიხსნის გადარეულს განადგურებისგან.

გაიღვიძეთ!

11.01.2011.

გაიღვიძეთ! ნუთუ, თქვენ თვლით
ლვთისმიერად დედამინას?
ამ ცხოვრებას? თქვით: ვინა ხართ?
ვინ გსურთ, იყოთ? – სხვა საქმეა...
ხინჯი ახლავს ყოველ ნაბიჯს,
ვარ ციკლოპი, კლდეს მოვტეხავ,
ვესვრი დამპალ დედამინას,
ოდისევსი უშვებს აფრებს,

საბოლოოდ დამაბრმავებს,
გაიქცევა, გაიქცევა!
ამომგლიჯე ამ გულიდან
ბოლმა ღმერთო! აღიარეთ:
მართალი ვარ! ველი თქვენს ტაშს!
გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ!

30გონიერი იმ ცლებს

30.04.2009.

არ მსურს, მოვესწრო იმ დროს, როდესაც
სილამაზესთან სიმახინჯეს მოუწევს შებმა.
ახლა მეოთხე წლის ხმა მომესმა,
პოეზიაში შეაბიჯეს რაც ჩემმა ფრთებმა.
მე ვგრძნობ რაღაცას. იგი მძიმეა,
ვიგონებ იმ წლებს უცხო ტიმარი:
„ნეტავ, სად არის ჩემი ტიმეა,
ვისიც ვიყავი და ვიქნები მე პატიმარი?!”
დაჩეხილია სული ჩემი, ცაში აყრილი
და მოდის წვიმად! ისევ მტკივა ძველი ჭრილობა,
ჩემი სიცოცხლის ვერ ვიხილე ლურჯი აპრილი,
გულს მიკლავს ჩემი აპრილების ვერაპრილობა!
ჩემი საფლავის ქვასთან ვხედავ თეთრ მტრედებს მუდამ,
მე ვწერ, რასაც ვგრძნობ და სამარე ვარ.

95

შედეამი

19.03.2014.

(სალომეს)

შენდამი ფიქრის მდინარეზე მიცურავს ტივი.
მუდამ მიკვირდა: შეგიძლია, ნეტავი, როგორ,
დაუსრულებლად თვალწინ მყავდე, გხედავდე მაშინ,
როცა სხვაგან ხარ... ქარიშხლების მესმოდეს ფხრენა,
ჰაერს ეძებდნენ ჩემი ფილტვები,
ღანკვებზე ფერი გაწვებოდეს საორქიდეე
და შენს თეთრ შუბლზე ღრუბელივით იწვეს სიმშვიდე.

სარჩევი

სადლეგრძელო.....	3
ლექსგაგლეჯილი.....	4
ცრუა ყოველი!.....	4
ეპისტოლე.....	5
მისი სიმაღლე.....	6
ქალაქის ყეფა.....	6
ღამის დუმილში.....	7
ედემი ქვეყნად.....	7
მწვერვალები.....	8
მარადი შუქი.....	8
96 ორი სამყაროს ტანდემი.....	9
დუმილში ფიქრი.....	10
ცხოვრება და ზღვა.....	10
ღამის უდაბნო.....	11
მხატვარი.....	12
მე ღამეს ველი.....	12
უპორიზონტო სივრცე.....	13
საცდელი ვაშლი.....	13
ნაფლეთები.....	14
ტირიფი.....	14
დადუმდით წუთით!	15
სტუმართა რიგი.....	15
უდაბურ ტყეში.....	15
მარადისობა.....	16
წყვდიადებიდან.....	16
ლეთას შიში.....	17
ვარ მორფეუსის სამყაროში.....	17
მზეო, ბებერო.....	18
ხსოვნა.....	18
რღვევა.....	19
ვიდრე.....	19
სარკეზე.....	19

მარტოობის სილრმე.....	20
*** (როცა გვესმის, რომ...)	20
ბურუსის ხომალდი.....	21
მარადისობის გაელვება.....	21
მომავლიდან.....	22
ვარ აკლდამაში.....	22
მიწის წიალში.....	22
*** (ცხოვრება ხშირად).....	22
სამემკვიდრეო.....	23
ბობოლა ვირები.....	24
მთიდან გაგონილი.....	24
ხილვა.....	24
მარტოობის გვირგვინი.....	25
*** (ვიღაც, ძალლივით დაოთხილი).....	25
*** (იმ კაცს, რომელიც).....	26
გადაშლილ წიგნზე.....	26
რუხი ხმები.....	27 97
მას ვეტყვი, ვისაც.....	27
გრიგალის ხაო.....	28
უქმაყაფილო პრიმატები.....	28
უპასუხობა.....	29
მუზა.....	29
მარტოობის წიხლები.....	30
ჯვარით, კალმით და წიგნით.....	30
*** (მონად დარჩება მონა მუდამ).....	30
ახალი წელი ღრუბლის ღრიჭოდან.....	31
ცრუ გვირგვინი.....	31
დროო.....	32
ზღვის ნაპირზე.....	32
ძველი მონასტრის ადგილზე.....	32
თხუთმეტი წლის წინ.....	33
ფუნჯი	33
კავკასიური გამყინვარება.....	34
იქნებ, მოვიდეს ხანა.....	34
იყოს გმირების.....	35
კაფე „როტონდა“.....	35
*** (ხდება, ცოცხლობდეს მკვდრადშობილი!).....	35
დღეები სეტყვის.....	36

7. ბ. მეფარე

საალავერდო.....	36
განთიადის დობილი.....	37
ცეცხლის ალყაში.....	37
ავის მოსურნეებო.....	38
ლამის გრიგალები.....	39
*** (რადგან ერთმანეთს არ ტოვებენ).....	44
ძალა მდუმარეთა.....	40
დუმილი.....	40
შენი ფესვები.....	41
ზამთარი.....	41
უძლები შვილის სიმღერა.....	42
ღრენის სურნელი.....	42
ჯვრები.....	43
მთა.....	44
სამომავლო ხილვები.....	44
თავსსმა.....	44
ქორწილი მუხებში.....	45
აგვისტოს დილა.....	45
აჩრდილები.....	46
მთანი მაღალნი.....	46
გათენებისას.....	47
ავი შერჩება არავის.....	47
სიცრუის ჯიქნები.....	48
ცივი მზე.....	48
საუფლო ციხესიმაგრე.....	49
თითები ბნელში.....	50
თილისმა.....	50
გონების ოპერაცია.....	51
სნეულ ცხედარში.....	51
მინათმოქმედის სიმღერა.....	52
ფრენა.....	52
კრიალა მწვანე.....	53
სიგიჟის ლოგო.....	53
შეშლილი მრევლი.....	54
სიკვდილის მდინარე.....	54
მარტობა.....	55
კოცნის კოცნი.....	55
იდუმალო ხმაო.....	56

ლიტანია.....	57
მთა ათონზე.....	58
ფერსული.....	58
ციხე და ტირიფი.....	59
სტიქარი.....	60
ბნელი და სურათი.....	60
კლდის კიდეზე.....	61
*** (მე არასდროს ვლაპარაკობ).....	61
ალდგომა.....	62
მდუმარებელი.....	62
ფიქრი-მტრედი.....	63
სიღრმე არწივის ფრთის.....	64
ბებერი კლდე.....	64
Please.....	65
ალდგომა.....	66
გარშემო არავინ.....	66
სიკვდილის მწვერვალები.....	67 99
ზღვის ცეკვა.....	67
სიმღერა ყვავილის.....	68
დასანახის მიღმა.....	69
ლვარცოფი.....	69
კამკამა.....	70
პატიმრის ბალადა.....	71
ძველი უარი მთვარის.....	72
ხანძარი.....	72
ხარაკირი.....	73
დაუშრეტავი მზე.....	74
საალსარებო.....	74
ბათუმი და მე.....	75
ხმა ნაბიჯების.....	75
ნოტების სახლი.....	76
ჩემი დღე.....	77
სურათი: ოთახი.....	77
ისარი და ფრთები.....	78
ლამურა.....	78
დეკემბრის ლამე.....	79
ტაიგის კონცერტი.....	80
უსახო.....	80

სინათლის ლოდი.....	81
ლამის ელეგია.....	82
ყორნის ჰორიზონტი.....	82
ხვალის დღეები.....	83
სიძართლის ვაზები.....	83
ჩვენი ჰორიზონტი.....	84
ვითხოვ შენდობას.....	84
ბერის ბედი.....	85
დერეფანი.....	85
ლმერთო.....	86
ლვარცოფის ხაო.....	86
ფოლადის ჩიტი.....	87
მენამული შორეთი.....	88
ტირე.....	88
შტორმის გედები.....	89
ცხელი ყინული.....	89
100 მე ველი.....	90
მირაჟი.....	90
ავი გვირაბი.....	91
მკვლელი ფიქრები.....	91
მავი და თეთრი.....	92
ლამის ტანზე.....	92
შეღებულ კართან.....	92
უძილობისას.....	93
სამყაროვ, გრილო.....	93
ნატვრა.....	93
დედავ შუქისა.....	94
უდაბნო-გიდი.....	94
გაიღვიძეთ!	94
ვიგონებ იმ წლებს.....	95
შენდამი.....	95

მკვლელი მუზა 23.11.2015. (ლექსი უკანა გარეკანისთვის)

ქუნწი კაცის სამარეს გავს ჩემი მზერა,
სად წავიდე? ვერ ვპოულობ ადგილს, ვერა...

უნდა ვმწყემსო ტაეპები – ჩემი ფარა,
მათ ვიფარავ, მე კი ლექსმა შემიფარა.

დაჭრილს მხოლოდ მისი ხიშტი შემესო და
მხოლოდ მისი ყასბის ყოფა შემეცოდა.

ჩემს წინაშე ეკლიანი ფერდობია,
ნიღბოსნები გულგრილობით ერთობიან.

101

როგორ გითხრა მარტოობავ, შენ უარი?
გამიშიშვლდი, დაგრჩეს მხოლოდ პენუარი.

ბნელო, მსხვერპლი მე ვარ, მეტი არ ეძებო,
კარნავალზე გამაქროლეთ კარეტებო,

იმიტომ, რომ რასაც ვეძებ, ეს ის არი,
გავიმეტე მისთვის ერთი მეც ისარი,

რადგან მოკვდეს... სიცოცხლე კი დარჩეს მუდამ,
რადგან თავი დამანებოს მკვლელმა მუზამ.

მკვლელი მუზა

ძუნწი კაცის სამარეს გავს ჩემი მზერა,
სად წავიდე? ვერ ვპოულობ ადგილს, ვერა...

უნდა ვმწყემსო ტაეპები – ჩემი ფარა,
მათ ვითარავ, მე კი ლექსმა შემიფარა.

დაჭრილს მხოლოდ მისი ხიშტი შემესო და
მხოლოდ მისი ყასბის ყოფა შემეცოდა.

ჩემს წინაშე ეკლიანი ფერდობია,
ნიღბოსნები გულგრილობით ერთობიან.

როგორ გითხრა მარტოობავ, შენ უარი?
გამიშიშვლდი, დაგრჩეს მხოლოდ პენუარი.

ბნელო, მსხვერპლი მე ვარ, მეტი არ ეძებო,
კარნავალზე გამაქროლეთ კარეტებო,

იმიტომ, რომ რასაც ვეძებ, ეს ის არი,
გავიმეტე მისთვის ერთი მეც ისარი,

რადგან მოკვდეს... სიცოცხლე კი დარჩეს მუდამ,
რადგან თავი დამანებოს მკვლელმა მუზამ.

გ. პ. სამარა
33

